პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 27 (11333) | კვირა, 1 თებერვალი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე

30 იანვარს საღამოს სხდომაზე, რომელიც ამხ. ნ. გ. ივნატოვის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატები განაგრძობდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების განხილვას. პირველი გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე ამხ. მ. ა. ლავრენტიევი. შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე მოსკოვის საავტომობილო სალტის ქარხნის ზეინკალი ამხ. ა. მ. რიბაკოვი, კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პ. ფ. ლომაკო და პოლტავის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ს. კ. ბოიკო.

მისასალმებელი სიტყვებით ყრილობას საღამოს სხდომაზე მიმართეს ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვილი პესიმ და ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დოლორეს იბარურიმ.

ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

ურილობის 31 იანვრის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. ლ. ნ. ეფრემოვის (ბორკის პარტიული ორგანიზაცია) თავმჯდომარეობით.

კამათში პირველნი გამოვიდნენ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. დ. მუსტაფაევი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. კირიჩენკო, მინსკის საავტომობილო ქარხნის მეფოლადე დ. ი. ბარაშკინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს სახელოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ვ. პ. მილარშჩიკოვი.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ყრილობის სხდომა განახლდა ი. დ. მუსტაფაევის (აზერბაიჯანის პარტორგანიზაცია) თავმჯდომარეობით.

იგი სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. ბ. არისტოვს. შემდეგ გამოდის უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ხ. კამალოვი.

გაისმის მჭუხარე ტაში. ბუკის ხმაზე დარბაზში შემოდიან მოსკოველი პიონერები. ისინი მიესალმებიან დელეგატებს, გადახცემენ პიონერთა სალამს.

ამით დამთავრდა ყრილობის დილის სხდომა. (საკდესი).

პარტიის, მთავრობისა და ხალხის ერთიანობა

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნებით ასახელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელნი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ მოწინავე ადამიანებს. წინასაარჩევნო კრებები ყველგან წარმოადგენს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობისა და იმის დემონსტრაციას, რომ საბჭოთა ადამიანები მზად არიან ძალღონის დაუზოგავად იბრძოლონ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც პარტიამ დასახა.

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. კრებაზე გამოვიდა საწარმოს დირექტორი გ. მაცაბერიძე, რომელმაც შეიტანა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინის № 6 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.** ხარატმა კ. ტიმოფეევმა, მხარი დაუჭირა რა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის კანდიდატურას, შეიტანა წინადადება აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას ნოვატორი მჭედელი **კონსტანტინე მიხეილის-ძე ილურიძე.** დასახელებულ კანდიდატურებს მხურვალედ დაუჭირეს მხარი ზეინკალმა პ. ბედენაშვილმა, საწარმოს მთავარმა ტექნოლოგმა მ. კბილაძემ.

თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე საწარმოს დირექტორის ნ. ჟვანიას წინადადებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ორჯონიკიძის № 40 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი.** წუხმდებლის მ. ჩიტიძის წინადადებით კრების მონაწილეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ქსოვის ინსტრუქტორი **გალინა ვარლამის ასული რაჭველიშვილი.**

კ. ე. ვოროშილოვისა და გ. ვ. რაჭველიშვილის კანდიდატურები ერთსულოვნად დაასახელეს აგრეთვე თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე.

გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა, წევრ-კორესპონდენტთა, მეცნიერ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა შეიტანა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — ენგელსის № 28 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე.** ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. ბოჭორიშვილმა, პროფესორებმა თ. შარაძენიძემ, პ. ჭანტურიშვილმა, დოცენტმა ა. აფაქიძემ, ახალგაზრდა მეცნიერმა თანამშრომელმა ტ. ბერიაშვილმა.

ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — ენგელსის № 28 საარჩევნო ოლქში ერთხმად დაასახელეს აგრეთვე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკთა წინასაარჩევნო კრებაზე. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

30 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დ. დ. ამირანაშვილი. სხდომაზე განხილულ არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დამტკიცა საარჩევნო დოკუმენტების ფორმები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენი, საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმი დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის ოქმები, მოწმობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევის შესახებ.

დადგენილია აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების ბეჭდების ნიმუშები. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები მოეწყობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან ერთად და საუბნო საარჩევნო კომისიები საერთო იქნება, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო ცნობად, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები ისარგებლებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების ბეჭდებით.

ცეკავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ზ. ნ. კეცხოველმა კომისიას მოახსენა იმ მუშაობაზე, რომელიც მიმდინარეობს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საკანცელარიო ნივთებით, აგრეთვე წითელი მატერიითა და საარჩევნო შენობების სხვა გასაფორმებელი მასალებით მომარაგებისათვის.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ამხ. გ. ა. ქრისტესაშვილმა კომისიას აცნობა, თუ რა მუშაობა გასწია სამინისტრომ იმისათვის, რომ ცენტრალური საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოები უზრუნველეყო ზუსტი და შეუფერხებელი კავშირგაბმულობით საარჩევნო კამპანიის დღეებში. ამისათვის სამინისტროში შექმნილია ოპერატიული ჯგუფი. ყველა საარჩევნო ოლქში, აგრეთვე საარჩევნო უბნების დიდ უმრავლესობაში არის სატელეფონო კავშირი. უახლოეს დღეებში დამთავრდება ტელეფონების დადგმა ყველა დარჩენილ საარჩევნო უბანში.

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. მ. მ. ძუგუტოვმა კომისიას აცნობა, რა ღონისძიებებია მიღებული საარჩევნო ოლქებისა და უბნების ავიაციით მომსახურების უზრუნველყოფისათვის. უკვე შესრულებული მნიშვნელოვანი მუშაობა საჰაერო ტრანსპორტით საარჩევნო ლიტერატურის გასაგზავნად. ავიაცია უზრუნველყოფს საარჩევნო დოკუმენტაციის მიტანას მთიან და ძნელადმისაწვდომ კუთხეებში, აგრეთვე ზამთრის საძოვრებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილმა გააკეთა ინფორმაცია მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების ბლანკებით, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისა — ქაღალდით საარჩევნო ბიულეტენების დასაბეჭდად.

განხილულ იქნა აგრეთვე საკითხები არჩევნების მოწყობის ხარჯების, კომისიის სამდივნოს შესახებ. გადაწყდა რაიონებში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის დახმარების გასაწევად გაიგზავნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები.

სხდომაზე განსაზღვრულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელი — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს შენობა. დასასრულ დამტკიცდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობის გეგმა, დადგენილ იქნა მისი მორიგი სხდომის თარიღი, შემოღებულ იქნა კომისიის წევრთა მორიგეობის გრაფიკი.

(საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია შემდეგი მისამართით: **ქალაქი თბილისი, შრომის სასახლე, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 19, მეორე სართული,** ოთახები: 30, 33, 34, ტელეფონები №№ 3-88-70, 3-21-98.

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა

29 იანვრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომა გაიხსნა ამხ. **ა. ი. გაევოის** (დნეპროპეტროვსკის პარტიული ორგანიზაცია) თავმჯდომარეობით. იგი სიტყვას აძლევს ამხ. **ი. ე. კალნბერზინს.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობას, ამბობს ამხ. კალნბერზინი, განსაკუთრებული პოლიტიკური აღმავლობით შეხვდნენ და იგი დიდი საწარმოო გამარჯვებებით აღინიშნა. დიადი მონაპოვარნი, რომლებითაც ჩვენი ხალხი მოვიდა პარტიის XXI ყრილობაზე, შედეგია საბჭოთა ხალხის დაძაბული ბრძოლისა სკკპ XX ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელმაც დააჩქარა სოციალისტური ინდუსტრიის განვითარება, იყო მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა. დამახასიათებელია, რომ 1958 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა ვადამდე შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და ყველა ეკონომიურმა რაიონმა. როგორც წესი, ყველა ეკონომიურმა რაიონმა დამატებით მოგვცა მილიარდობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ლატვია სხვა საბჭოთა რესპუბლიკებზე 20 წლით გვიან დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას, საბჭოთა ხალხების ძმური დახმარების მეოხებით იგი მხარდამხარ მიჰყვება ყველა მოკავშირე რესპუბლიკას და XXI ყრილობას შეხვდა მნიშვნელოვანი გამარჯვებებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ლატვიის მრეწველობა სწრაფი ტემპებით ვითარდება. საკმარისია ითქვას, რომ საერთო პროდუქციის წარმოების მოცულობამ 1958 წელს თითქმის 9-ჯერ გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

ახალ შვიდწლედში დასახულია სამრეწველო წარმოების შემდგომი დიდი ზრდა. მრეწველობის საერთო პროდუქცია 1965 წელს უნდა გაიზარდოს 65 პროცენტით. ჩვენი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, აგრეთვე თევზის მრეწველობის განვითარება. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების საერთო პროდუქცია გაიზრდება ორნახევარჯერ. მრეწველობის პროდუქციის მატება მიღწეულ იქნება უმთავრესად იმავე სხწარმოო ფართობებზე, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაძლიერების, მოძველებული მოწყობილობის შეცვლის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდებით. რესპუბლიკურმა ორგანოებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ენერგეტიკულ მეურნეობასა და ქიმიურ მრეწველობას.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დიდ ზრუნვას იჩენს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვის მსვლელობაში გამოვლინდა იმის შესაძლებლობა, რომ ხორცისა და რძის წარმოების შვიდწლიანი გეგმის დავალებანი შეკასრულოთ 4-5 წელიწადში და შვიდწლედის დამლევისათვის ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მივიღოთ 800 ცენტნერი რძე და 100 ცენტნერი ხორცი საკლავი წონით. ხორცის წარმოების გაფართოება მიღწეულ იქნება მეღორეობის ზრდით, მოზარდეულის მოშენებით, მეცხვარეობის განვითარებით, მცურავი ფრინველის მოშენებით და სხვ.

ამხ. კალნბერზინი დასასრულ ლაპარაკობს იმაზე, რომ პარტიის XX ყრილობის შემდეგ გაუმჯობესდა მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას. XX ყრილობის შემდეგ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობის შინაარსსა და მეთოდებში ძირეული ცვლილებები მოხდა, აღდგენილია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, გაძლიერდა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა. მასებთან მუშაობაში პირადად მონაწილეობს ხელმძღვანელ მუშაკთა უმრავლესობა. გაძლიერებთ რა პოლიტიკურ-ორგანიზატორულ საქმიანობას, გადაჭრით აღმოვფხვრით რა არსებულ ნაკლოვანებებს, ვიბრძოლებთ რა თვითდამშვიდებისა და ყოყოჩობის წინააღმდეგ, ჩვენ შეძლებთ განვახორციელოთ ჩვენი შობლიური კომუნისტური პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი.

* * *

კოლმეურნეობა „სამშობლოსათვის“, რომლის თავმჯდომარედ უკვე შვიდი წელია ვმუშაობ, ამბობს ამხ. **პ. ნ. კოვალიოვა** (ბელორუსიის სსრ გომელის რაიონი), ეკონომიკის დონით საშუალოა რაიონში. 1958 წელს აქ ჰექტარზე მიღებული იყო 10 ცენტნერი მარცვლეული, ხოლო ცალკეულ ბრიგადებში 15 ცენტნერიც, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა. გასულ წელს ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიღებულია 40 ცენტნერი ხორცი, 346 ცენტნერი რძე, 1958 წელს 1953 წლის დონესთან შედარებით რძის წარმოება გაიზარდა ექვსჯერ, ხოლო ხორცისა — 8,6-ჯერ. აი რა უდიდესი გავლენა მოახდინა, ამბობს ამხ. კოვალიოვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომმა გადაწყვეტილებებმა და ღონისძიებებმა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

შემდეგ ამხ. კოვალიოვამ ილაპარაკა კოლმეურნეობის გეგმებზე შვიდწლედისათვის. შვიდწლედის უკანასკნელ წელს კოლმეურნეობა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღებს 186 ცენტნერ ხორცს, 982 ცენტნერ რძეს. ახლა აქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ უკვე წელს მივიღოთ მარცვლეულის, კარტოფილის, სიმინდის მწვანე მასის უხვი მოსავალი, გავაორკეცოთ ხორცის წარმოება, ხოლო რძის წარმოება ავიყვანოთ 430 ცენტნერამდე 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე. ამ ვალდებულებათა შესრულება ძალგვიძს. მინსკში, ამბობს ამხ. კოვალიოვა, შეიხვდი მიჩურინსკის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ანდრეევას.

ამ მეურნეობაში ბევრი რამის სწავლა შეიძლება, და მე საფუძვლიანად ვუამბე მის დიდ წარმატებებზე ჩემს ამხანაგებს. ჩვენი კოლმეურნეები ამან ძალიან დაინტერესა. ეჭვი არ არის, შეჯიბრებაში ჩვენ შეგვიძლია სერიოზული კონკურენტები გავხდეთ კომინტერნის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებისა. მთავარია ის, რომ ჩვენ ვცდილობთ დავნერგოთ და კიდევაც დავნერგავთ სულ უფრო მეტად ყოველივე ახალს, მოწინავეს, რასაც უკვე მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეურნეობებმა.

დასასრულ ამხ. კოვალიოვამ განაცხადა, რომ შვიდწლიანი გეგმის დავალებებს კოლმეურნეობა შეასრულებს ვადამდე, სამ-ოთხ წელიწადში.

* * *

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, დელეგატ ამხ. **ა. ა. გრომიკოს** სიტყვა. იგი შეეხო საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებს.

— ჩვენი პარტიის ისტორიაში, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, — ამბობს ამხ. გრომიკო, — ცოტა როდი იყო დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, მაგრამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას ამ მოვლენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი მოასწავებს ჩვენი ქვეყნის შესვლას თავისი განვითარების ახალ პერიოდში, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. გასული წლის ნოემბერში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების გამოქვეყნება უკვე იყო საერთაშორისო ცხოვრების უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორი და მან მნიშვნელოვანი მასტაბილიზებელი გავლენა მოახდინა მთელ საერთაშორისო ვითარებაზე.

ამ ისტორიული დოკუმენტმა საშუალება მისცა მრავალ ადამიანს საზღვარგარეთ უფრო მეტი რწმენით შეეხედა მომავლისათვის. მან გამოიწვია აგრეთვე გაოცებისა და უნებლიე პატივისცემის გრძნობა ჩვენი მტრების ბანაკშიც კი. შვიდწლედის ციფრებს ყველგან შეხვდნენ როგორც საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობის, მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებით მისი დაინტერესების ახალ დადასტურებას.

ამხ. გრომიკომ ჩამოთვალა მრავალი წინადადება, რომლებითაც სსრ კავშირმა ამ უკანასკნელ წლებში მიმართა დასავლეთის სახელმწიფოებს. მან, კერძოდ, გაიხსენა წინადადება ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ, უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის შესახებ, ბერლინის პრობლემისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. დასავლეთის სახელმწიფოთა თავვრობებს ჯერ არ გამოუჩენიათ მზადყოფნა საქმიანად განიხილონ სსრ კავშირის წინადადებანი. კაპიტალისტური სამყაროს მთავარ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ახლანდელი კურსი ასახავს დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთი გავლენიანი წრეების ჯერ კიდევ ჩაუქრობელ იმედს, რომ როგორმე მოხერხდება უკუღმა შეატრიალონ ისტორიული განვითარება. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის ზოგიერთ სხვა ქვეყანას ჯიუტად არა სურთ „ცნონ“ ისეთი აშკარა ფაქტები, როგორიც არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა.

გერმანიის მილიტარიზმის აღმოფხვრის ნაცვლად, განაგრძო ამხ. გრომიკომ, დასავლეთის სახელმწიფოთა ტრიუმვირატმა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა — ყველა კარი გაუღო დასავლეთ გერმანიის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენას, რომელიც გერმანიის მილიტარიზმის მატერიალური ბაზაა. ნატოს ხელმძღვანელები ცდილობენ ატომური და რაკეტული იარაღი მისცენ ხელში დასავლეთ გერმანიის სამხედრო ხროვას.

ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება თუნდაც დღესვე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. მაგრამ, ამბობს ამხ. გრომიკო, თუ არ იქნა მიღწეული შეთანხმება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე, რაც ჩვენი ბრალი როდი იქნება, საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, ეცდება გამონახოს ამ საკითხის გადაჭრის სხვა გზები.

იგივე უნდა ითქვას ბერლინის საკითხზე. თუ ვერ გამოინახა მისი შეთანხმებული გადაჭრა, რასაც გულწრფელად ესწრაფვის ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეთანხმებით განახორციელებს ცნობილ დასახულ ღონისძიებებს ბერლინის შესახებ, და დაე ნურავინ შეავ შეცდომაში ამ მხრივ.

თავის სიტყვაში ამხ. გრომიკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ბევრი რამ გააკეთოს, რათა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას შეექმნას ურთიერთნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის საფუძველი. ამხ. მიქოიანის ახლახან დამთავრებულმა მოგზაურობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხადყო, რომ იქ არიან მნიშვნელოვანი ძალები, რომლებსაც სურთ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესება.

* * *

ტრიბუნაზეა სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ნ. ვ. კისელიოვი.** ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, ამბობს იგი, აიარაღებს პარტიასა და ხალხს კომუნიზმის მშენებლობის დიდებული ამოცანების ნათელი გაგებით, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ძლიერების უმაგალითო აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის კონკრეტული გზებისა და მეთოდების ცოდნით.

როსტოვის ოლქის მშრომელები პარტიის XXI ყრილობას შეხვდნენ მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებებით. ოლქის სამრეწველო საწარმოებმა შარშან გამოუშვეს 658 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, ხოლო წელს უდიდესმა საწარმოებმა იანვრის გეგმა ვადამდე შეასრულეს.

შვიდწლედის განმავლობაში შემდგომ განვითარდება ოლქის მრეწველობა, განსაკუთრებით ქიმიური, კვებისა და მანქანათსამშენებლო მრეწველობა. მნიშვნელოვნად გაიზრდება კომბაინების წარმოება, მოეწყობა თვითმავალი შასების გამოშვება. ბევრი საწარმოს კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს შვიდწლედის პროგრამა ხუთ ან ექვს წელიწადში შეასრულონ.

ამასთან ერთად ზოგიერთი საწარმო ჯერ კიდევ ვერ ასრულებს დავალებებს, ურიგდება წუნით გამოწვეულ დიდ დანაკარგს. მაგრამ, განაცხადა ამხ. კისელიოვმა, ადგილობრივი ორგანიზაციები ვერ აღმოფხვრიან ყველა ნაკლს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და რუსეთის სფსრ საგეგმო სახელმწიფო კომისიამ ძირეულად უნდა გააუქმებინონ ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ოლქს მომსახურებას უწევს ოთხი რკინიგზა, რაც აძნელებს სატრანსპორტო სამმართველოების ურთიერთობას სამეურნეო ორგანიზაციებთან. უნდა დაევალოს გზათა სამინისტროს აღმოფხვრას ეს ნაკლი.

შესანიშნავი ნაბიჯი გადადგა წინ აგრეთვე ოლქის სოფლის მეურნეობამ. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ უკანასკნელ წლებში აითვისეს 390 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები. გადიდდა პურეულის, ტექნიკური კულტურების, განსაკუთრებით მზესუმზირას მოსავალი, გაფართოვდა სიმინდის ნათესები. გათვალისწინებულია ბაღებისა და ვენახების ფართობი შვიდ წელიწადში გადიდდეს 85 ათასიდან 300 ათას ჰექტარამდე. მაგრამ ბევრ მეურნეობას ჯერ კიდევ არ დაუძლევია ჩამორჩენა მეცხოველეობაში. ოლქის პარტიული ორგანიზაცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა უმოკლეს ვადაში გამოასწოროს ეს მდგომარეობა. ფერმებში სამუშაოდ იგზავნებიან კომუნისტები და კომკავშირელები, მეცხოველეებისათვის ეწყობა კურსები და სემინარები. მტკიცდება საკვები ბაზა. წელს ოლქში სიმინდის ნათესები გაფართოვდება 200 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნება 1 მილიონ ჰექტარამდე.

თავის შესაძლებლობათა ზუსტი გამოანგარიშების საფუძველზე, თქვა დასასრულ ამხ. ნ. ვ. კისელიოვმა, ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს შვიდწლიანი გეგმა შეასრულონ 4-5 წელიწადში და უკვე წელს ჩაბარონ და მიჰყიდონ სახელმწიფოს შარშანდელზე ორჯერ მეტი ხორცი.

* * *

გამოდის ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ტოდორ ჟივკოვი.** ბულგარელი კომუნისტებისა და ბულგარელი ხალხის სახელით იგი მხურვალედ მიესალმება სკკპ XXI ყრილობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს.

თქვენი შვიდწლიანი გეგმა ჩვენი სიხარულია, ჩვენი სიამაყეა, ჩვენი შთაგონებაა, ამბობს ამხ. ჟივკოვი. ჩვენთვის, ბულგარელი კომუნისტებისათვის, სკკპ XXI ყრილობის მუშაობა პროგრამა და მოწოდებაა, რომ რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური წყობილების შესაძლებლობანი, მაქსიმალურად გამოვნახოთ რეზერვები, დავაჩქაროთ ჩვენი წინსვლა. და ეს შემთხვევითი როდია. ჩვენი ქვეყნის ბედი განუყრელად დაკავშირებულია დიდი საბჭოთა კავშირის ბედთან, ჩვენი კომუნისტური პარტიის ბედი — ლენინის დიადი პარტიის ბედთან.

ეხება რა ამოცანებს, რომლებიც ბულგარეთის კომუნისტურ პარტიის VII ყრილობამ დასახა ბულგარეთის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებისა და მასშტაბების გადიდებისათვის, ამხ. ჟივკოვი ამბობს, რომ ბულგარეთში სოციალიზმის მშენებლობა ვერ განხორციელდებოდა სოციალისტური ბანაკის დაუხმარებლად და საბჭოთა კავშირის უბადლოდ მდიდარი გამოცდილების გამოუყენებლად.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, ამბობს დასასრულ ტოდორ ჟივკოვი, სულით და გულით გისურვოთ თქვენ როგორც ღვიძლ ძმას ნაყოფიერი მუშაობა და ახალი წარმატებები, ახალი გამარჯვებები იმ გრანდიოზული პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დასახა საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ, მთელი კაცობრიობის საბედნიეროდ!

* * *

კორეის შრომის პარტიის თავმჯდომარემ ამხ. **კიმ ირ სენმა** მხურვალე სალამი გადასცა XXI ყრილობასა და მთელ საბჭოთა ხალხს კორეის შრომის პარტიისა და კორეელი ხალხის სახელით.

შემოქმედებითად ავითარებს რა მარქსიზმ-ლენინიზმს, ამბობს ამხ. კიმ ირ სენი, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას განუხრელად მიჰყავს საბჭოთა ხალხი ახალი გამარჯვებისაკენ და საერთაშორისო მუშათა მოძრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა

(დასასრული)

ოში მშვიდობის ძალების განმტკიცების საქმეში. დედამიწის მილიონობით ადამიანი, ესწრაფვის რა მშვიდობასა და სოციალიზმს, იმედის თვალით შეჰყურებს დიდ საბჭოთა კავშირს და შთამაგონებელ ძალას პოულობს მისი ძლიერების განუწყვეტელ ზრდაში.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შემდეგ, რომელიც 1957 წლის ნოემბერში გაიმართა მოსკოვში, კიდევ უფრო გაიზარდა მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები. სოციალისტური ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, უფრო მჭიდროდ შეკავშირდა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ, კიდევ უფრო განმტკიცდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სოლიდარობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, განაგრძობს ამხ. კიმ ირ სენი, რომ საბჭოთა ხალხი წარმატებით შეასრულებს შვიდწლიან გეგმას, ამით დაეჩქარებს კომუნიზმის მშენებლობას სსრ კავშირში და ახალ დიდ წვლილს შეიტანს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება კიდევ უფრო მეტ შთაგონებას მისცემს კორეელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობისათვის და თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის საბრძოლველად.

ტრიბუნაზეა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის თავმჯდომარე და მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ხო ში მინი.**

ჩვენ დიდად ბედნიერი ვართ, ამბობს იგი, რომ ვესწრებით სკკპ XXI ყრილობას, რომელიც მოასწავებს საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპს — სწრაფი კომუნისტური მშენებლობის ეტაპს. ვიეტნამელი ხალხი სულით და გულით შეჰხარის საბჭოთა კავშირის ბრწყინვალე მიღწევებს.

ვიეტნამში მშვიდობის აღდგენის შემდეგ, საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების დიდსულოვნური დახმარების მეოხებით ვიეტნამელმა ხალხმა ცოტა სიძნელე როდი გადალახა და წარმატებით განახორციელა ეკონომიკის აღდგენის ამოცანა, მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები. ამჟამად ვიეტნამელი ხალხის ამოცანაა წარმატებით შეასრულოს სამწლიანი სახელმწიფო გეგმა, შემდგომ განავითაროს ჩრდილოეთ ვიეტნამში სოციალიზმის მშენებლობა, გააერთიანოს ქვეყანა ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის საფუძველზე, განავითაროს მეგობრობა ყველა ხალხთან და ღირსეული წვლილი შეიტანოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში.

დელეგატები და სტუმრები მხურვალე ტაშით შეხვდნენ სკკპ XXI ყრილობისადმი ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელ წერილს, რომელიც ამხ. ხო ში მინმა წაიკითხა. სკკპ XXI ყრილობა, ნათქვამია მისალმებაში, განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა. მისი წარმატებითი მუშაობა არა მარტო ხელს შეუწყობს კომუნიზმის ძლევამოსილ მშენებლობას საბჭოთა კავშირში, არამედ აგრეთვე გავლენას მოახდენს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაზე მთელ მსოფლიოში.

ალბანელი კომუნისტებისა და ალბანელი ხალხის სახელით ყრილობას მიესალმა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ენვერ ხოჯა.** იგი ხაზს უსვამს სკკპ XXI ყრილობის მნიშვნელობას მსოფლიოს ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიისათვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. თქვენი შესანიშნავი მიღწევები, ამბობს იგი, შთაგონებენ ალბანელ ხალხს, ეხმარებიან მას სოციალიზმის მშენებლობაში. თქვენი შვიდწლიანი გეგმა, რომელსაც თქვენ განიხილავთ და დამტკიცებთ ყრილობაზე, დიდებული გეგმაა. მისი საერთაშორისო მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ იგი კიდევ მეტი ძალით ცხადყოფს სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურის წინაშე, რომ იგი საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ცოცხალი დადასტურებაა, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მძლავრი საშუალებაა.

ამხ. ენვერ ხოჯა აცხადებს, რომ ალბანეთის შრომის პარტია იბრძოდა და იბრძოლებს იმპერიალისტი მტრების წინააღმდეგ. იგი განაგრძობს ბრძოლას აგრეთვე იუგოსლავი რევიზიონისტების წინააღმდეგ.

დიდი მადლობის გრძნობით ლაპარაკობს ამხ. ენვერ ხოჯა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების დახმარებაზე ალბანელი ხალხისადმი, რომლის წინაშე დასახულია ახალი ნათელი პერსპექტივები.

თავმჯდომარემ ამხ. ა. ი. გაევოიმ სხდომის დასასრულს განაცხადა, რომ ყრილობის სახელზე მიღებულია მისასალმებელი წერილები იორდანიის, ლუქსემბურგის, სან-მარინოს კომუნისტური პარტიებისაგან, აგრეთვე გვატემალის შრომის პარტიისაგან.

30 იანვრის დილის სხდომა

30 იანვრის დილის სხდომაზე, რომელიც გაიხსნა ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევის** თავმჯდომარეობით, კამათში პირველი გამოვიდა ამხ. **ა. ი. გაევოი** (დნეპროპეტროვსკის პარტიული ორგანიზაცია). დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, რომლებიც მოპოვებულია ჩვენს ქვეყანაში პარტიის XX ყრილობის შემდეგ, ხაზგასმით აღნიშნა მან, კვლავ და კვლავ ადასტურებენ სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე, მოწმობენ იმ აუარაკხელ ძალებს, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებრიობისა და სახელმწიფო წყობილების წიაღშია. ჩვენი პარტიისა და ხალხის ისტორიულ მონაპოვართა და გამარჯვებათა მიხედვით განსაკუთრებით ნათლად ჩანს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადამწყვეტი მოქმედების უდიდესი მნიშვნელობა, ცენტრალური კომიტეტისა, რომელმაც ამხილა და ჩვენი გზიდან უკუაგდო ფრაქციონერებისა და გამფთშველების: მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინის, შეპილოვის ჯგუფი, რომელიც ცდილობდა ჩაეფუშა ლენინური კურსის განხორციელება საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხში. პარტიამ და ხალხმა სავსებით მოიწონეს ლენინური ცენტრალური კომიტეტის მოქმედება.

შემდეგ, შეეხო რა დნეპროპეტროვსკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, ოლქის ეკონომიკის განვითარებას, ამხ. გაევოი ამბობს, რომ პარტიის XX ყრილობის შემდეგ სამრეწველო პროდუქციის საერთო გამოშვება აქ 35 პროცენტით გადიდდა. კრივოი როგის აუზის მაღაროელებმა შარშან ამოიღეს ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული რკინის მადნის მეტი ნაწილი. გაჩაღებულია დიდი მუშაობა ახალი ტექნიკის დასანერგავად, განსაკუთრებით მეტალურგიულ და სამთამადნო მრეწველობაში. მარტენის ღუმელებსა და კონვერტორებში იყენებენ ჟანგბადს.

ოლქში დიდი ყურადღება ექცევა მარცვლეულის წარმოებასა და მეცხოველეობის განვითარებას. 1958 წელს მარცვლეულის წარმოება 1953 წელთან შედარებით 58 პროცენტით გადიდდა. გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შვიდწლედი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში შეუძლიათ შეასრულონ ხუთ წელიწადში, ხორცის წარმოება გაადიდონ 4-ჯერ და მეტად, რძისა— 3-ჯერ 1958 წელთან შედარებით.

შვიდწლედში ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარებაში გათვალისწინებულია დაბანდდეს 32 მილიარდ მანეთზე მეტი, მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე წარსულ შვიდ წელიწადში. ყველა ასიგნებათა მეტი ნაწილი მოხმარდება სამთამადნო, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის განვითარებას.

XXI ყრილობა არ არის ჩვენი პარტიის მორიგი ყრილობა, ამ ყრილობაზე არ მოუსმენიათ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, თქვა თავის სიტყვაში ამხ. **მ. ა. სუსლოვმა.** მაგრამ ამხანაგ ხრუშჩოვის მკაფიო, ყოველმხრივ და ღრმა მოხსენებაში გაშუქებულია პარტიისა და მთელი ხალხის საქმიანობის შედეგები XX და XXI ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში. ამ პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა მსოფლიოისტორიული გამარჯვებანი საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგში. მთელმა მსოფლიომ აღიარა საბჭოთა კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიერ მოპოვებული ბრწყინვალე წარმატებანი, რომელთა გვირგვინია დედამიწის საბჭოთა თანამგზავრები და ადამიანის ხელით შექმნილი პირველი პლანეტა, რომელიც მზის გარშემო ბრუნავს. დედამიწისა და მზის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები არიან ბუნებრივი და კანონზომიერი თანამგზავრები სოციალიზმისა, რომელმაც საკუთარი ბრძოლა ბედნიერებისა და საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა ისეთი მწვერვალებს მიაღწია, ისეთი გრანდიოზული გარდაქმნები განახორციელა, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ჩვენს ქვეყანას ახლა შევიდეს თავისი განვითარების ახალ უმნიშვნელოვანეს პერიოდში. ესოდენ გრანდიოზული გეგმები ისტორიას ჯერ არ ახსოვს, აცხადებს ორატორი. შვიდი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი გამოუშვებს იმდენ სამრეწველო პროდუქციას, რამდენიც მან გამოუშვა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე, ესე იგი 41 წელიწადში. განა მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომლის წარმოდგენა არ გააოცოს ამ ციფრებმა!

შემდეგ ამხ. სუსლოვი აღნიშნავს, რომ შვიდწლიანმა გეგმამ, რომელმაც სოციალიზმის ბანაკის ყველა ადამიანთა სიხარული და აოტაცება გამოიწვია, ძლიერ შეაშფოთა კაპიტალისტური სამყარო და უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების მილიონერები. თუ წინათ ისინი ჩვეულებრივ სკეპტიკურად ხვდებოდნენ ჩვენი ხალხის განზრახვას — დავიწყოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მხრივ, ახლა ისინი სერიოზულად არიან შეშფოთებულნი ამ პერსპექტივებით. საბჭოთა ხუთწლედებმა, დედამიწისა და მზის საბჭოთა თანამგზავრებმა და ბევრმა სხვა რამემ დაარწმუნეს სოციალიზმის უიმედოდ შუბლმაგარი მტრებიც კი: საბჭოთა კავშირში ის, რაც დღეს გეგმაში ჩაიწერება, ხვალ ცხოვრებაში იქნება, აცხადებს ორატორი დელეგატთა ტაშის გრიალში.

ამხ. სუსლოვი ლაპარაკობს დიდებული შვიდწლიანი გეგმის რეალობაზე, რომელიც შემუშავებულია ღრმამეცნიერულ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე. მისი შესრულება უზრუნველყოფილია საწარმოო ძალების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალი დონით, რომელიც მოპოვებულია ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტებისა და კვალიფიციური მუშების დიდი რაზმის არსებობით, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით, საბჭოთა ხალხის უმაგალითო მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით, რომელიც გამსჭვალულია მისწრაფებით პარტიის ხელმძღვანელობით იაროს წინ კომუნიზმისაკენ. ყოველივე ეს იმის საიმედო გარანტიაა, რომ პარტიის მიერ დასახული დიდ სამუშაოთა გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება.

შემდეგ ორატორი ახასიათებს ახალი საზოგადოების ორ ფაზას— სოციალიზმსა და კომუნიზმს, ხაზგასმით აღნიშნავს მათს საერთო ნიშნებსა და განსხვავებას. ამხ. სუსლოვი აღნიშნავს, რომ კომუნიზმის დაბალ ფაზასა და მაღალ ფაზას შორის არ არის გადაულახავი საზღვარი, სოციალიზმი თანდათანობით გადაიზრდება კომუნიზმში. სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში სიმწიფის ისეთ დონეს მიაღწია, მისი უპირატესობა ისეთი ძალითა და ისეთი მასშტაბებით გამოვლინდა, რომ ახლა ჩვენი საზოგადოების უშუალო ამოცანა გახდა კომუნიზმის მშენებლობა. მაგრამ ეს პროცესი ხანგრძლივი იქნება, გასცდება შვიდწლედის ფარგლებს, თუმცა შვიდწლიანი გეგმის რაოდენობრივ მაჩვენებლებს იქით, ციფრებს იქით ძნელი არ არის დავინახოთ ახალი პერიოდის თვისებრივი თავისებურება. შვიდწლედი ნათლად დასანახავსა და რეალურად ხელშესახებს გახდის კომუნიზმის ყველა ძირითად ნიშანს.

შემდეგ მ. ა. სუსლოვი ამბობს, რომ საჭიროა ახალ საფეხურზე ავიყვანოთ თეორიული მუშაობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლასთან. თეორეტიკოსთა ყურადღება პირველ რიგში უნდა მიიპყროს ისეთმა საკითხებმა, როგორიც არის სოციალიზმის დროს და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის შესაბამისობის კანონის განხორციელება, საკუთრების სახელმწიფოებრივი და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო ფორმების დაახლოება, ხელფასის პრობლემები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში სახელმწიფოს როლისა და მისი ფუნქციების საკითხს.

ამხ. სუსლოვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ კომუნიზმის მშენებლობის ახალ ეტაპზე მნიშვნელოვნად იზრდება პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების როლი, რომლების ხელშიც თანდათანობით გადაეცემა სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების ნაწილი. მაგრამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მზარდი როლი სრულიადაც არ იწვევს სახელმწიფო ან სამეურნეო ორგანოების როლის შესუსტებას. თეორიულად უსუსური და პრაქტიკულად მავნეა შეხედულება იუგოსლავი რევიზიონისტებისა, რომლებიც ცდილობენ დააკნინონ სახელმწიფოს და სახელმწიფო ორგანოების მნიშვნელობა.

შემდეგ მ. ა. სუსლოვი ლაპარაკობს იმ გიგანტურ მუშაობაზე, რომელიც პარტიამ გასწია მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, და შემდგომ ამოცანებზე, რომლებიც ამჟამად დგას ამ დარგში. მან ხაზგასმით აღნიშნა შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, რადგან ეს არის საბჭოთა ადამიანის შეგნების, მისი კეთილშობილური მორალური სახის, კომუნიზმის საქმისადმი მისი ერთგულების მთავარი მაჩვენებელი. ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნისტური აღზრდა არის არა მარტო განათლებისა და პროპაგანდის სხვადასხვა ფორმა, არამედ, უმთავრესად, რევოლუციური პრაქტიკა, ყველა მშრომელთა სრული ჩაბმა საზოგადოებრივ წარმოებაში აქტიური მონაწილეობისათვის, კომუნისტური მშენებლობის ყველა ამოცანის გადაჭრისათვის.

ამხ. სუსლოვი აღნიშნავს იმ პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც დგას პრესის, ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე. იგი აღნიშნავს, კერძოდ, რომ პრესის პროპაგანდისტული და ორგანიზატორული როლი XX ყრილობის შემდეგ შესამჩნევად გადიდდა, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ბევრი გაზეთისა და ჟურნალის ახლანდელი იდეური და ლიტერატურული დონე არ შეიძლება თამამად აყოფილად იქნას მიჩნეული. ჯერ კიდევ ცოტა როდი გვხვდება მოსაწყენი, უშინაარსო სტატიები და კორესპონდენციები, ცოტა როდი გამოდის არასაჭირო და არასაინტერესო წიგნები და ჟურნალები.

ლიტერატურამ და ხელოვნებამ რომ გაამართლონ თავიანთი უმაღლესი საზოგადოებრივი დანიშნულება — დარაზმონ ხალხი კომუნიზმისათვის საბრძოლველად, საჭიროა სრული იდეური სიცხადე, შეურიგებელი ბრძოლა უცხო გავლენათა წინააღმდეგ, ლიტერატურისა და ხელოვნების ორმა და მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან. ნამდვილი ხელოვნება მუდამ ვითარდება ცხოვრების ღრმად შესწავლაში.

შემდეგ მ. ა. სუსლოვი ლაპარაკობს მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმატებებზე, კომუნისტური და მუშათა პარტიების ძმური კავშირის განმტკიცებაზე. კაპიტალიზმისათვის სულ უფრო ძნელი ხდება არ ჩაიძიროს, აცხადებს ორატორი. შორს არ არის ის დღე, როცა კაცობრიობის წინააღმდეგ თავისი დანაშაულობის სიმძიმით იგი ჩაიძირება და ადგილს დაუთმობს ნამდვილად პროგრესულ წყობილებას — სოციალიზმს.

პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამბობს დასასრულ ამხ. სუსლოვი, რომლებიც დამყარებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილ მოძღვრებაზე, კაცობრიობის ისტორიაში შექმნიან ახალ ეპოქას, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქას.

* * *

ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ მშენებლობის ზეინკალ-მემონტაჟემ ამხ. **ვ. ი. გორბუნოვმა** (ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია) ყრილობის დელეგატებს გადასცა ლენინგრადელ გემთმშენებელთა მხურვალე სალამი.

ლენინგრადელი გემთმშენებლები, ამბობს იგი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ძალების დაუზოგავად შრომობენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. გასულ წელს მათ მოიპოვეს დიდი გამარჯვება, ააგეს და პირველხარისხოვანი ტექნიკით მოაწყეს ორი ახალი ტანკერი, რომელთაგან თვითეულის წყალწყვეტა 16 ათასი ტონაა. ამ ცოტა ხნის წინათ სტაპელებიდან წყალში ჩაშვებულია გიგანტური ტანკერი — ნავთობსასხმელი ფლოტის 40 ათასი ტონა წყალწყვეტის ფლაგმანი. გემთმშენებლებმა მას დაარქვეს „პეკინი“ დიდ ჩინელ ხალხთან გულითადი მეგობრობის ნიშნად.

თვალსაჩინო მოვლენაა, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენს ქალაქში მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ აგება, რომელიც განასახიერებს ჩვენი ქვეყნის ტექნიკის მაღალ დონესა და საწარმოო ძალების განვითარებას, მის მეცნიერთა გაბედულ აზრს, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიან მისწრაფებებს.

იმისათვის, რომ განვახორციელოთ ამოცანები, რომლებიც შვიდწლიანმა გეგმამ დასახა, ამბობს ამხ. გორბუნოვი, საჭიროა ბევრი, ბეჯითად და მტკიცედ ვიშრომოთ, ყოველდღიურად ვაუმჯობესოთ წარმოების ორგანიზაცია, ვამაღლოთ დაპროექტების ხარისხი. ამასთან დაკავშირებით, განაგრძობს ორატორი, მე მსურს დავაყენო მთელი რიგი საკითხები, თუ რა უშლის ხელს სამამულო ფლოტის დაჩქარებულ მშენებლობას.

ამხ. გორბუნოვი აღნიშნავს, რომ გემთსამშენებლო მრეწველობის საკონსტრუქტორო ბიუროები ყოველთვის როდი ითვალისწინებენ ახალ ტექნოლოგიურ პროცესებსა და შრომის მოწინავე ხერხებს, რომლებიც უკვე ათვისებული და ფართოდ გამოყენებული გემების მშენებლობაში. საპროექტო დოკუმენტაცია ხშირად იგვიანებს, „ეი ჯერ კიდევ ძვირად ჯდება და აქვს ნაკლოვანებანი, აგრეთვე საბოლოოდ არ არის დამუშავებული. ორატორი წინადადებას იძლევა ხომალდების დაპროექტების სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცეს გემთსამშენებლო ქარხნებს. იგი აყენებს აგრეთვე საკითხს — შეიქმნას სპეციალიზებული საწარმოები გემთმშენებლებისათვის სამაგრის, ფიტინგების, ინსტრუმენტების დასამზადებლად, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ გემთსამშენებლო საწარმოების მუშაობის დაგეგმვის გაუმჯობესების, ეკონომიურ რაიონებს შორის უკეთესი კოოპერაციის საკითხებს და სხვ.

* * *

— მე, უბრალო საბჭოთა ქალს, მხედა უდიდესი ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო პარტიის XXI ყრილობის მუშაობაში, — ამბობს ტერნოპოლის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ამხ. **ე. ა. დოლინიუკი.**

იგი ლაპარაკობს დიდ გარდაქმნებზე, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს ოლქის ტერიტორიაზე მოხდა. 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაერთიანდნენ უკრაინის მიწები. ამ ხნის განმავლობაში, ყველაფერი გამოიცვალა. წინათ ტერნოპოლის საგუბერნიოში იყო სულ 52 სკოლა, ადამიანებს სამედიცინო დახმარებას უწევდა 11 საავადმყოფო, სულ არ ყოფილა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები. ახლა კი, სიამაყით ამბობს ე. ა. დოლინიუკი, ჩვენ გვაქვს ათასზე მეტი სკოლა, 14 ტექნიკუმი, ორი ინსტიტუტი, ასზე მეტი საავადმყოფო. მშრომელები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ. ყოველ რაიონში, ყოველ სოფელში აშენდა ახალი სახლები, გაჩნდა კლუბები, ბიბლიოთეკები.

განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვეთ უკანასკნელ ხანს. აღნიშნავს ე. ა. დოლინიუკი. ჩვენ, კოლმეურნეები, ვამაყობთ სოფლის მეურნეობის მიღწევებით, შვიდწლიანი გეგმის დავალებებს 4-5 წელიწადში შევასრულებთ.

საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია შვიდ წელიწადში გავადიდოთ მარცვლეულისა და საკვების წარმოება. ამხ. დოლინიუკი ამბობს, რომ გასულ წელს მისმა რგოლმა სიმინდი მოიყვანა ას ჰექტარ ფართობზე. 20 ჰექტარი ფართობის თვითეული ჰექტარზე აღებულია 207 ცენტნერი მარცვლეული. 80 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აღებულია 1.450 ცენტნერი სასილოსე მასა. შემოსავალმა, რომელიც კოლმეურნეობამ რგოლის მიერ მოყვანილი სიმინდით მიიღო, მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა.

მე და ჩემს რგოლს გვახარებს, ამბობს ორატორი, რომ ამ კულტურის დიდი მოსავალი მოიყვანა ჩვენი ოლქის ბიგრმა რგოლმა და კოლმეურნეობამ. მაგრამ როგორც ჩვენს ოლქში, ისე უკრაინის სხვა ოლქებშიც არის კოლმეურნეობები და რაიონები, სადაც ჯერ კიდევ სიმინდის დაბალი მოსავალი მოჰყავთ. მე მგონია, რომ ამ კოლმეურნეობებისა და რაიონების ხელმძღვანელები ჯეროვნად არ შესდგომიან მოწინავე გამოცდილების შესწავლასა და ფანერგვას.

ამხ. დოლინიუკი აცხადებს, რომ 1959 წელს მისმა რგოლმა ვალდებულება იკისრა 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 220 ცენტნერი სიმინდის მარცვალი და 80 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 1.550 ცენტნერი მწვანე მასა.

* * *

უკრაინის წარჩინებული კოლმეურნე ტრიბუნაზე შეცვლილი მეზობელი მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელმა ამხ. **ზ. ტ. სერდიუკმა** (მოლდავეთის პარტიული ორგანიზაცია), აღნიშნა რა თავის სიტყვაში, რომ სკკპ XXI ყრილობა მოასწავებს იმას, რომ სსრ კავშირი შევიდა თავისი ისტორიის ახალ, მნიშვნელოვან პერიოდში, იგი მკაფიო ფაქტებით ცხადყოფს უდიდეს ცვლილებებს, რომლებიც მოხდა მოლდაველი ხალხის ბედში, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ამერიკელი და ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტები, რომლებიც ოცდაათიან წლებში ეწვევნენ ბესარაბიას, წინასწარმეტყველებდნენ ამ მხარის დაოუპვას, ამბობს ორატორი. მაგრამ მშვიდობიანი საბჭოთა მშენებლობის თხუთმეტ წელსა და საკოლმეურნეო წყობილების ათ წელიწადზე ნაკლებ ხანში, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების ფასდაუდებელი დახმარებისა და უმდიდრესი გამოცდილების მეოხებით ყოფილი ბესარაბია გარდაიქმნა, ამბობს ამხ. სერდიუკი. მოლდავეთის რესპუბლიკას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყურძნის, ხილის, კონსერვების, შაქრის, მეცხოველეობის პროდუქტების, მცენარეული და ეთეროვანი ზეთის წარმოებაში. ჩვენ მოხარული ვართ ყრილობის ტრიბუნიდან მოგახსენოთ, რომ პარტიის XX ყრილობის შემდეგ გასულ სამ წელიწადში სამრეწველო წარმოების მოცულობა 60 პროცენტით გადიდდა, 1958 წელს წარმოებულია მანქანათმშენებლობის პროდუქცია ორჯერ და ელექტროენერგია 80 პროცენტით, კონსერვები — 43 პროცენტით მეტი, ვიდრე 1955 წელს. მოლდავეთის კოლმეურნეობათა საერთო პროდუქციის მოცულობა 1953 წლიდან თითქმის ორჯერ გაიზარდა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, შვიდწლედის საკონტროლო ციფრები, განაგრძობს ამხ. სერდიუკი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის შემდგომი შემოქმედებითი განვითარებაა, პარტიის ზრუნვაა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის. მოლდავეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია შვიდწლედში გადიდდება ერთიანად და მეტად. უფრო განვითარდება მრეწველობის წამყვანი დარგები — კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, გაიზრდება მანქანათმშენებლობის, ლითონის დამუშავების, საშენი მასალების მრეწველობის ხვედრითი წონა. შეიქმნება ელექტროტექნიკური მრეწველობა. მწყობრში ჩადგება 140 ახალი სამრეწველო საწარმო. შვიდწლედის დამლევს რესპუბლიკა ას ჰექტარ მიწაზე აწარმოებს 150 ცენტნერ ხორცს და 500 ცენტნერ რძეს. ყურძნისა და ხილის წარმოება ამ ხანში სამჯერ გაიზრდება და დაახლოებით ორ მილიონ ტონას შეადგენს.

ამხ. სერდიუკმა დასასრულ თქვა, რომ მოლდავეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა და მშრომელებმა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ამ ყრილობაზე მიიღეს როგორც თავიანთი შემდგომი საქმიანობის საბრძოლო პროგრამა.

* * *

30 იანვრის დილის საათებში, ისევე როგორც წინა დღეებში, ყრილობაზე გამოვიდნენ საზღვარგარეთის მოძმე პარტიების წარმომადგენლები. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის სახელით მხურვალე, გულითადი სალამი გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **იუმჟაგინ ცედენბალმა.** მადლობა გადაიხადა რა XXI ყრილობაზე მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაციის მოწვევისათვის, ორატორმა დაახასიათა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პროგრამის უდიდესი მნიშვნელობა.

სსრ კავშირის ნეიდწლიანი გეგმა, თქვა მან, — მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ცოცხალი განსახიერებაა. გეგმა ცხადყოფს სოციალიზმის უპირატესობებს კაპიტალიზმთან შედარებით. არავითარი ეჭვი არ არის, რომ შვიდწლედის წარმატებით შესრულება და სსრ კავშირის საწარმოო ძალების დასახული დონის მიღწევა ისტორიულ როლს შეასრულებს ხალხთა ბრძოლაში ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ამრავლებს მშვიდობისა და დემოკრატიის ძალებს, განუზომლად აამაღლებს მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე, მთელი კაცობრიობის ბედზე სოციალიზმის ზემოქმედების სულ უფრო მზარდ ძალას.

ამხ. ი. ცედენბალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმას სიხარულით შეხვდნენ მონღოლეთის მშრომელები. მათ მიაჩნიათ, რომ ეს გეგმა მთელი სოციალისტური ბანაკის ურყევი ძლიერების ზრდის პროგრამაა.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის წარმომადგენელი შეეხო მონღოლი ხალხის მიღწევებს, რომელმაც ისტორიულად მოკლე ვადაში დაძლია ყოფილი მრავალსაუკუნოვანი ჩამორჩენილობა და ამჟამად თავდადებით შრომობს თავის ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ამოცანის განსახორციელებლად. ი. ცედენბალი მადლობას უძღვნის საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ძმური დახმარებისათვის. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, აცხადებს ის, ყოველთვის სწავლობდა, სწავლობს და კვლავაც დაუცხრომლად ისწავლის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდიდარი გამოცდილების მიხედვით.

* * *

ტრიბუნაზეა ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **დიპა აიდიტი,** იგი მილიონნახევარი ინდონეზიელი კომუნისტისა და რვა მილიონზე მეტი ამომრჩევლის სახელით, რომლებმაც კომპარტიას მისცეს ხმა, სალამს უძღვნის ყრილობას.

დიდმა წარმატებებმა, ამბობს ამხ. აიდიტი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლების დარგში, მისმა წარმატებებმა საერთაშორისო ასპარეზზე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში გამოიწვია საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის ზრდა, ამასთან აამაღლა მუშათა და კომუნისტური პარტიების ავტორიტეტი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

თქვენ, განაგრძობს ამხ. აიდიტი, განსაზღვრეთ თქვენი ახლანდელი ძირითადი ამოცანა — დაიწიოთ და გაუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უკვე არსებულ გამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა

(დასასრული)

ბათა შემდგომი გაფართოებისათვის. ამან ხელი შეუწყო ყველა ერისა და ხალხის კიდევ უფრო მეტ ეკონომიურ და კულტურულ აყვავებას, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის გაფართოებას, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ამაღლებას. ანტიპარტიული ჯგუფის განადგურებამ, რომლის მონაწილენიც იჩენდნენ შოვინიზმის ელემენტებს და იმის ურწმენობას, რომ ეროვნული რესპუბლიკების კადრებს უნარი შესწევთ გადაჭრან საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანები, ხელი შეუწყო ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას და მათს მჭიდრო შეკავშირებას კომუნისტური პარტიის გარშემო.

ლენინური ეროვნული პოლიტიკა თავის ახალ გამოხატულებას პოულობს შვიდწლიან გეგმაში, რომელიც ითვალისწინებს, რომ თვითეულ რესპუბლიკაში განვითარდეს მეურნეობის ის დარგები, რომლებისთვისაც ყველაზე ხელსაყრელი ეკონომიური პირობებია, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი და საერთო-საკავშირო ინტერესების სწორი შეხამება. აღმოსავლეთ რაიონებში დასახლდა საწარმოო ძალების ზრდის უფრო მაღალი ტემპები, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში. კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობის 40 პროცენტზე მეტი აქ იხარჯება.

ყაზახეთში პირველად ეწყობა თუჯის წარმოება. უზბეკეთი ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკავებს საბჭოთა კავშირში გაზის მრეწველობის განვითარების მხრივ. ამ რესპუბლიკაში გაზის მოპოვება დიდდება 106-ჯერ. შუა აზიაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში უახლოეს წლებში დამთავრდება მელამბიების ყველა პროცესის კომპლექსური მექანიზაცია. დასახულია აგრეთვე ფართო მასშტაბით განხორციელდეს საირიგაციო სისტემებისა და სარწყავი ქსელის რეკონსტრუქცია. განზრახულია ნედლი ბამბის გაწმენდა და გაშრობა უახლოეს ორ-სამ წელიწადში გადაეცეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს და ამისათვის შეიქმნას საჭირო საწარმოო ბაზა. ეს შესაძლებელს გახდის შემოვიღოთ უკვე გაწმენდილი ბამბის ბოჭკოს დამზადება.

შემდეგ ამხ. მუხიტდინოვი შეეხო პარტიის ეროვნული პოლიტიკის თეორიულ საკითხებს და ხაზი გაუსვა, რომ განვითარდა ახალი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს ყველა სოციალისტურ ერს.

შვიდწლიანი გეგმის განხორციელება, ამბობს შემდეგ ამხ. მუხიტდინოვი, ყველა ადგილობრივი მუშაკისაგან მოითხოვს იმის ცნობას, რომ სწორად გაიგონ და განახორციელონ თავიანთი ეროვნული და ინტერნაციონალური ლოიალობა, შეჯითად იბრძოლონ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ალმონაშთების წინააღმდეგ. მავნე და საშიშია როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის, ისე თვითეული ეროვნებისათვის რესპუბლიკაში კარჩაკეტილი მეურნეობის შექმნის ტენდენცია, ეროვნული შეზღუდულობა აქა-იქ იჩენს თავს, კერძოდ, ლიტერატურის, ხელოვნების დარგში.

ამხ. მუხიტდინოვმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა საზღვარგარეთის ალმოსავლეთის ქვეყნების მდგომარეობის ანალიზს. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ, მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური ალოკის განადგურებამ, ამბობს იგი, ხელშემწყობი პირობები შექმნა იმისათვის, რომ ჩაგრული ქვეყნების ხალხებმა წარმატებით იბრძოლონ ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. აზიაში კოლონიალიზმმა გამანადგურებელი დამარცხება განიცადა. მით უფრო დაჟინებით ებღაუჭება იგი აფრიკას, როგორც თავის დარჩენილ კოლონიურ ციტადელს.

აფრიკის — უდიდესი სიმდიდრის მქონე ამ კონტინენტის ხალხთა გაღვიძება, სადაც მკვიდრი მოსახლეობა საშინელ სიღატაკეშია, თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს, აღნიშნავს მუხიტდინოვი.

ანალიზს უკეთებს რა თანამედროვე მდგომარეობას იმ სახელმწიფოში, რომლებიც კოლონიური უღლისაგან თავისუფლდებიან, ამხ. მუხიტდინოვი ამბობს, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნებში იმპერიალისტებსა და მათს დამქაშებს ახლა ეხმარებიან იუგოსლავი რევიზიონისტები, რომლებიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპს უპირისპირებენ ვიწრონაციონალისტურ და შოვინისტურ ინტერესებს. რევიზიონისტებს სურთ თავგზა აუბნინონ აღმოსავლეთის ახალგაზრდა რესპუბლიკების ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერებს, შთააგონონ მათ უნდობლობა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკისადმი.

საბჭოთა სახელმწიფოს, ამბობს ის შემდეგ, შეუძლია იამაყოს იმით, რომ მან კაცობრიობის ისტორიაში პირველმა დაამყარა ნამდვილად ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობა, რომელშიც არ არის ანგარებითი მოტივები. საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ეკონომიური თანამშრომლობის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ საბჭოთა კავშირი მათ დახმარებას უწევს საწარმოების, უწინარეს ყოვლისა, მძიმე მრეწველობის საწარმოების მშენებლობაში. სსრ კავშირს შეუძლია აგრეთვე დაეხმაროს მათ სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე სისტემის მოწყობაში. ეროვნული კადრების მომზადებაში, დაგეგმვასა და ბევრ სხვა დარგში.

ჩვენი სამშობლოს 200 მილიონზე მეტი მოქალაქე, თქვა დასასრულ ამხ. მუხიტდინოვმა, შვილია ერთი დიადი ოჯახისა, რომელიც შეკავშირებულია ურღვევი მეგობრობით, შეხედულებათა ერთიანობითა და მოქმედების ერთიანობით. ეს არის საბჭოთა სახელმწიფოს ძალის წყარო, კომუნიზმის უცილობელი გამარჯვების საწინდარი.

* * *

სიტყვა ეძლევა დელეგატს ამხ. **ა. ვ. გიტალოვს** — კიროვოგრადის ოლქის სკკპ XX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს. ამხ. გიტალოვი ამბობს, რომ მისი ბრიგადის თაოსნობით უკრაინაში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების მოყვანის დროს კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებისათვის, ტექნიკის დიდი წარმადობით გამოყენებისა და უხვი მოსავლის მოყვანისათვის. გამოცდილება გვიჩვენებს, ამბობს ამხ. გიტალოვი, რომ შრომის დანახარჯები კომპლექსური მექანიზაციის დროს მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი წესის დროს. ამასთან მოსავლიანობა დიდდება, პროდუქცია უფრო იაფი გამოდის. ჩვენი ბრიგადის მექანიზატორებმა გადაწყვიტეს მიმდინარე წელს ისე მოიყვანონ სიმინდი და მზესუმზირა, რომ არ გამოიყენონ ხელის შრომა. კომპლექსური მექანიზაციის დროს სიმინდი და მზესუმზირა შრომატევადი კულტურები აღარ იქნება.

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე. იტალიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ჯანკარლო პაიეტა ესაუბრება ალბანეთის შრომის პარტიის დელეგაციის მეთაურს ენვერ ხოჯას.

ფოტო ა. სტუფინისა და ვ. კუნოვისა.

კიროვოგრადის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ამბობს ორატორი, ვალდებულება იკისრეს ხუთ წელიწადში შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა. ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მაღალ ვალდებულებათა შესრულება დამოკიდებულია სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებაზე. მიმდინარე წელს ჩვენ სიმინდს მოვიყვანთ 450 ათას ჰექტარზე. ეს ოლქის მთელი ნათესი ფართობის ორმოცი პროცენტია. ჩვენ ამოცანად ვისახავთ თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 30 ცენტნერი სიმინდი მარცვლად ან 350 ცენტნერი ტაროიანი მწვანე მასა.

შარშან მე სამ თვეს ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში, განაგრძობს ამხ. გიტალოვი, სადაც ვსწავლობდი სიმინდის მექანიზებულ მოყვანას ჰარსტის ფერმაში. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე მნიშვნელოვნად უფრო მაღლა ვდგავართ მიწათმოქმედების კულტურის მხრივ, მაგრამ ჰარსტსაც აქვს ზოგი რამ საინტერესო, რაც ჩვენში უნდა დაინერგოს. უწინარეს ყოვლისა ეს არის მცირე მექანიზაციის, ესე იგი მარტივი დასატვირთავი და გადმოსატვირთავი მექანიზმების გამოყენება. მცირე მექანიზაცია იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, შევამცროთ პროდუქციის თვითღირებულება. ჩვენმა მრეწველობამ, უნდა მოაგვაროს მსუბუქი დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მანქანების გამოშვება.

შვიდწლედის უდიდესი გაქანება, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების დიდებული საკონტროლო ციფრები, ამბობს ამხ. გიტალოვი, აღგვაფრთოვანებს ჩვენ, მიწის მუშაკებს. ეთათბირება რა ხალხს, პარტია მიმართავს კოლექტიურ გონებას, პოულობს ახალ აზრებს, გაბედულ იდეებს ხალხის სიბრძნეში, ხალხის გამოცდილებაში, ააქტიურებს სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრს. ამის შედეგია შეჯიბრების მძლავრი გაქანება. ახლა ჩვენს თვალწინ ქვეყანაში არ არის არც ერთი კუთხე, სადაც წყაროსავით არ ჩქეფდეს ხალხის ინიციატივა, სადაც ადამიანები არ შრომობდნენ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ამხ. გიტალოვის გამოსვლით დამთავრდა დილის სხდომა.

ამხ. ლავრენტიევი შეაქებს წინადადება მოხდეს მეცნიერული კვლევის დაგეგმვის, აგრეთვე მეცნიერული ხარისხებისა და წოდებების მინიჭების სისტემის ერთგვარი რეორგანიზაცია.

იგი ამბობს, რომ საჭიროა გაძლიერდეს მომთხოვნელობა ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერისადმი, რათა თვითეული მათგანი ესწრაფვოდეს თავისი კვლევის მაქსიმალურ შედეგიანობას. საბჭოთა მეცნიერება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პრაქტიკულ ამოცანებთან და ყოველდღე ეხმაურებოდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს.

* * *

ტრიბუნაზეა **ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.** პარტიის ოცდამეერთე ყრილობა, ამბობს იგი, ისტორიაში შევა როგორც მკაფიო მიჯნა, რომელიც მოასწავებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შესვლას მისი განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდში — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ორატორი აღნიშნავს, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში არა მარტო ასახულია ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პერსპექტივები, არამედ აგრეთვე დამუშავებულია მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ამხ. ბრეჟნევი ხაზს უსვამს, რომ წარმატებამ, რომელიც მოპოვებულია პარტიის XX ყრილობის შემდეგ, ჩვენი ქვეყანა მიუახლოვა კომუნიზმს. ამ წარმატებათა საფუძველი ის არის, რომ ცენტრალური კომიტეტი და მთელი პარტია თავის საქმიანობაში უცვლელად ხელმძღვანელობენ მარქსიზმ-ლენინიზმით, შემოქმედებითად იყენებენ მას.

დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისადმი შემოქმედებითი მიდგომის მაგალითია, აღნიშნავს ორატორი, ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაცია და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. ამის შედეგად ამოძრავებულ იქნა სახალხო მეურნეობის კოლოსალური რეზერვები, უკეთ იწყო მუშაობა სოციალისტურმა მრეწველობამ, ხოლო სოფლის მეურნეობამ გიგანტური ნახტომი გააკეთა წინ თავის განვითარებაში.

შემდეგ ამხანაგი ბრეჟნევი ლაპარაკობს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინისა და შეპილოვის ფრაქციული ჯგუფის განადგურებაზე. თვით ცხოვრებამ, აღნიშნავს იგი პოლიტიკური ბანკროტების მდგომარეობაში ჩააყენა და გარიყა ისინი.

ორატორმა თავის სიტყვაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების პრობლემებს. მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებისათვის შვიდწლედში დაბანდებულ იქნება თითქმის 700 მილიარდი მანეთი. შავ მეტალურგიაში დასახულია მოქმედ საწარმოთა გაფართოება და რეკონსტრუქცია. ამასთან ერთად აშენდება ახალი ქარხნებიც, ისეთები, როგორიც არის ყარაგანდის, დასავლეთ ციმბირის, ტაიშეტის ქარხნები.

ამხ. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ შეუწყნარებელია მშენებლობის ვადების გაჭიანურება. ჩერეპოვეცისა და ორსკ-ხალილოვსკის მეტალურგიული ქარხნები შენდება ათ წელზე მეტ ხანს. ხოლო ნაგლინის წარმოება იქ ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის. შემდეგში ვეღარ შევურიგდებით ასეთ პრაქტიკას, საჭიროა დაჩქარდეს მშენებლობის ტემპები.

თუ რამდენად რეალურია ასეთი ამოცანა, ამას ამხ. ბრეჟნევი ასურათებს შემდეგი მაგალითით. შარშან ჩვენს ქვეყანაში აშენდა 7 დიდი ბრძმედი. ყველა ისინი ამუშავდა ვადამდე, ხოლო მათი მშენებლობის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატებოდა. მძიმე მრეწველობაში ახალ სიმძლავრეთა აგების დაჩქარებაში დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, სამონტაჟო მოედნებად სამშენებლო მოედნების გადაქცევა.

შეეხო რა ლითონის დაზოგვის პრობლემებს, ამხ. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დავზოგოთ ლითონი ჩვენი მეურნეობის ყველა დარგში; ამის შესაძლებლობა უდიდესია. მაგალითად, გამოანგარიშებულია, რომ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების 130-150 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის მშენებლობისათვის საჭირო იქნება დაახლოებით 3,5 მილიონი ტონა ფურცლოვანი ფოლადი. ეს მოცულობანი რომ რკინაბეტონისაგან ავაგოთ, შეიძლება დავზოგოთ მილიონნახევარზე მეტი ტონა ლითონი. ამ მხრივ ნაკლები შესაძლებლობა როდია მშენებლობაში, ლითონდამუშავებელ მრეწველობაში, გემთმშენებლობაში, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში, საქალაქო მეურნეობაში.

შემდეგ ამხ. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ პარტია სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის ხაზით თავის მუშაობაში მუდამ იჩენდა ზრუნვას ტექნიკური პროგრესისათვის. მეტალურგიაში ერთ-ერთი პროგრესული მეთოდია ფოლადისა და თუჯის გამოდნობა ჟანგბადის გამოყენებით. ამ მეთოდის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მანქანათმშენებლებზე, რომლებმაც უნდა შექმნან ჟანგბადის დიდი დანადგარები.

მეტალურგიაში სხვა ეკონომიური და პროგრესული პროცესია ლითონის წარმოება ბუნებრივი გაზის გამოყენებით. ალუმინის მრეწველობაში საჭიროა დაინერგოს ელექტროთერმული ხერხი, რაც ერთი მესამედით ამცირებს კაპიტალურ დანახარჯებს და 20 პროცენტით — საექსპლოატაციო ხარჯებს. დიდმნიშვნელოვანი ტექნიკური პრობლემებია რკინის პირდაპირი აღდგენა მადნიდან, განუწყვეტელი დაკოქსვა და სხვ.

შემდეგ ამხ. ბრეჟნევი ლაპარაკობს სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, მეტალურგიაში რეზერვების გამოყენების ამოცანებზე, შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებაზე.

ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების გამოყენების კოეფიციენტი ძირითადი მუშების თანაბარი რაოდენობის დროს ჩვენში 25-30 პროცენტით მაღალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღნიშნავს ორატორი. მაგრამ სიის მიხედვით საშუალო მუშის შრომის ნაყოფიერების შედარებისას გამოდის, რომ ჩვენში ნაყოფიერება უფრო დაბალია. ეს იმიტომ, რომ იმ. მუშების რაოდენობა, რომლებიც დასაქმებული არიან სხვადასხვა დამხმარე ოპერაციებზე, სარემონტო და დამხმარე სამუშაოებზე, ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად მეტია, ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა დიდი მუშაობის გაწევა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის, საწარმოთა სპეციალიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და კოოპერირებისათვის.

საბჭოთა მეტალურგებმა, აღნიშნავს ამხ. ბრეჟნევი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს წინ ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების გამოყენების კოეფიციენტის გადიდებაში. მაგრამ გამოცდილება ისეთი მოწინავე საწარმოებისა, როგორიც არიან მაგნიტოგორსკისა და ნიჟნი ტაგილის მეტალურგიული კომბინატები, ქარხანა „ზაპოროჟსტალი“ და სხვები, ცხადყოფს, რომ არის შესაძლებლობა ახალი ნაბიჯი გადაიდგას წინ მეტალურგიული აგრეგატების გამოყენების გაუმჯობესებაში. სავსებით რეალურია ამოცანა მივაღწიოთ ბრძმედების მოცულობის გამოყენების სულ ცოტა 0,70 კოეფიციენტს, და მარტენის ღუმელის ქვედის ერთი კვადრატული მეტრიდან ფოლადის სულ ცოტა 8,7 ტონის მიღებას.

ამხ. ბრეჟნევმა თავისი სიტყვის დასკვნითს ნაწილში თქვა:

— შვიდწლიანი გეგმით ხორცშესხმულია პარტიისა და ხალხის მრავალი წლის გამოცდილება სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენს წინაშე ისახება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შესანიშნავი პერსპექტივები, ჩვენ ყველამ უნდა შევასრულოთ დიდი და წარმტაცი სამუშაო გრანდიოზული სამეურნეო-პოლიტიკური გეგმის განხორციელებისათვის. ეს გეგმა გამოიწვევს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალების ახალ მატებას, აღაფრთოვანებს მას შემდგომი დიდი საქმეებისათვის.

* * *

ყრილობის 30 იანვრის საღამოს სხდომის ანგარიშის დასასრული მოთავსებულია ნომერში.

30 იანვრის საღამოს სხდომა

გახსნა რა საღამოს სხდომა, თავმჯდომარემ ამხ. **ნ. გ. იგნატოვმა** გამოაქვეყნა ყრილობის მისამართით მოსული დეპეშა ოთხრეთის მენავთობეებისა. ისინი იუწყებიან, რომ სკკპ XXI ყრილობის მუშაობის პირველ დღეებში წიაღის მზვერავებმა აღმოაჩინეს ნავთობის ორი ახალი დიდი საბადო, თათრეთის მენავთობენი, ნათქვამია დეპეშაში, გამსჭვალული არიან მტკიცე მისწრაფებით იბრძოლონ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიამ დასახა.

ამ დეპეშას ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

განსახილველი საკითხის შესაბამ კამათში საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე **ა. ა. ლავრენტიევი.** იგი თავის სიტყვას უძღვნის მეცნიერების ამოცანებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმის განხორციელებაში. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არაერთგზის მიუღოლიავს მეცნიერებისათვის წარმატებები, მოპოვებული შედეგები, ამბობს ამხ. ლავრენტიევი. ჩვენმა მეცნიერებამ მსოფლიოში პირველი ადგილი მოიპოვა უმნიშვნელოვანესი პრობლემების დამუშავებაში. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არის დიდი რეზერვები, რომლებიც საჭიროა გამოვიყენოთ, განსაკუთრებით ახალი დიდი ამოცანების მიხედვით.

საჭიროა მეცნიერება, უმაღლესი სასწავლებლები, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მაქსიმალურად მივუახლოოთ ერთმანეთს, აღნიშნავს ორატორი. საჭიროა მოვახდინოთ ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ქარხნების უკეთესი კოორდინირება. ახალი დიდი სამეცნიერო ცენტრების ორგანიზაციისას უზრუნველყოფილ უნდა იქნას ინსტიტუტების კომპლექსის შექმნა თანამედროვე თეორიული მეცნიერების: მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის უმთავრეს განყოფილებათა მიხედვით.

ამხ. ლავრენტიევი თავისი სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილს უძღვნის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებას, რომელიც იქმნება, და იმ პრობლემებს, რომლებზეც იშრომებენ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში ამ დიდი სამეცნიერო ცენტრის მეცნიერები. მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა ქალაქებიდან იქ უკვე ჩავიდა 300-ზე მეტი თანამშრომელი, მალე ჩავა კიდევ 400 ახალგაზრდა სპეციალისტი. უკვე წელს მშენებლები საექსპლოატაციოდ გადასცემენ ჰიდროდინამიკის, გეოლოგიის, ფიზიკის ინსტიტუტებს. მეცნიერების ქალაქის მშენებლობა 1961 წელს დამთავრდება.

ციმბირის მეცნიერები, კერძოდ, იმუშავებენ მიწის წიაღის შესწავლაზე, სასარგებლო წიაღისეულების ძიების ახალი მეთოდების შემუშავებაზე. მიწისქვეშა ცხელი ორთქლის, მიწისქვეშა ცხელი წყლის გამოყენების, ახალი ხელოვნური მასალების შექმნის პრობლემებზე.

საკდესის ცნობა

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოთხ ათასი კაცით ახალი შემცირების შესახებ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესრულების თაობაზე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გასული წლის დამდეგს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1957 წლის 21 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად საბჭოთა კავშირის მთავრობამ, ხელმძღვანელობდა რა მშვიდობის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებით, მიიღო გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით შეემცირებინა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები 300 ათასი კაცით, გარდა 1 მილიონ 840 ათასი კაცით შემცირებისა, რაც უკვე განხორციელდა 1955-1956 წლებში.

1959 წლის 1 იანვრისათვის მთავრობის მიერ ამ გადაწყვეტილებით დასახული ყველა ღონისძიება სავსებით განხორციელებულია და სსრ კავშირის მთელი შეიარაღებული ძალები 1959 წლის 1 იანვრისათვის შემცირებულია 300 ათასი კაცით. ამასთან შეიარაღებული ძალების შემცირება ძირითადად მოხდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარის ნაწილების, შენაერთებისა და დაწესებულებათა დაშლის გზით. გარდა ამისა, ბევრი ჯარის ნაწილი და შენაერთი გამოყვანილ იქნა სსრ კავშირის ტერიტორიაზე და დაიშალა: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან — საერთო რიცხვით 41 ათასზე მეტი კაცი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან — 17 ათასზე მეტი კაცი.

არმიიდან და ფლოტიდან დათხოვნილი პირადი შემადგენლობა მოწყობილია სამუშაოზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შეიარაღებული ძალების ახალი შემცირების შედეგად განთავისუფლებული ფულადი სახსრები ხმარდება სახალხო მეურნეობის განვითარებას და საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

იუწყება რა 300 ათასი კაცით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დასახული შემცირების სრულ დამთავრებას, საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის ატმოსფეროს შექმნის საქმეს. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების განხორციელებული შემცირება ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ადასტურებს იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ლენინურ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში გამოთქვამენ იმედს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებული თავისი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ცალმხრივი შემცირება სხვა სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში შემავალი სახელმწიფოებისათვის, იმის მაგალითი იქნება, რომ განახორციელონ კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი საშიში გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება:

1. **ალადაგოვს** პავლე არტემის-ძეს — რესპუბლიკური სანიტარული ეპიდემიური სადგურის სახელმწიფო სანიტარულ ინსპექტორს
2. **ამირანაშვილს** ნინო ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიცინის სამსახურის პოლიკლინიკის ექიმ-პედიატრს
3. **ასლანიანს** პარუირ ეღიშის-ძეს — ახალქალაქის რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგეს
4. **ბაბუხადიას** ვასილ დიმიტრის-ძეს — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების გამგეს
5. **ბალანჩივაძეს** ალექსანდრა ილარიონის ასულს — ტრესტ „ჩიათურმარგანეცის“ სტალინის სახელობის მაღაროს ექიმს
6. **ბეთანელს** თამარ მიხეილის ასულს — ქ. ბათუმის 1-ლი საავადმყოფოს განყოფილების გამგეს
7. **ბუიშვილს** დავით საბას-ძეს — ყვარლის რაიონის მთავარ ექიმს
8. **გოცაძეს** კალისტრატ მიხეილის-ძეს — ქ. თბილისის მე-16 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს
9. **გურგენიძეს** გრიგოლ ირაკლის-ძეს — ქ. თბილისის 1-ლი საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს
10. **ვაისბეინს** ზინოვი ალექსანდრეს-ძეს — ასპინძის რაიონის უბნის საავადმყოფოს გამგეს
11. **თაქთაქიშვილს** შალვა ივანეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ ქირურგს
12. **თიბილოვას** ნატალია გრიგოლის ასულს — სამხრეთ ოსეთის საოლქო სამშობიარო სახლის განყოფილების გამგეს
13. **კალანდაძეს** ტატიანა იაკობის ასულს — ჩოხატაურის რაიონის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს
14. **კარგას** ილია აბრამის-ძეს — ქ. სოხუმის მე-3 პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტს
15. **კვირკველიას** ოლღა სამსონის ასულს — რესპუბლიკური კლინიკური ბავშვთა საავადმყოფოს მთავარ ექიმს
16. **კოლოდკინს** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს — მედიცინის სამსახურის გენერალ-მაიორს
17. **ლომსაძეს** ასკალონ ანტონის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების უფროსს
18. **მასხულია-ჩაჩავას** ირინე ალექსის ასულს — ქ. თბილისის 1-ლი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგეს
19. **ნადარეიშვილს** ანდრია რომანოზის-ძეს — აბაშის რაიონის სოფ. ონტოფოს საექიმო უბნის ექიმ-სტომატოლოგს
20. **ნაროუშვილს** კონსტანტინე ლაზარეს-ძეს — ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების გამგეს
21. **ნიკოლაიშვილს** ტარასი ონისიმეს-ძეს — ქ. ქუთაისის 1-ლი საავადმყოფოს თვალის განყოფილების გამგეს.
22. **ნიკურაძეს** სილოვან ილიას-ძეს — ქ. თბილისის მე-6 საავადმყოფოს მთავარ ექიმის მოადგილეს
23. **პირაკოვს** ვლადიმერ ვასილის-ძეს — „ავეს“ შტაბის საბმართველოს სანიტარული ნაწილის უფროსს
24. **პირველს** ევგენია გრიგოლის ასულს — ლენტეხის რაიონის ექიმ-სტომატოლოგს
25. **სანოვას** თამარ ვლადიმერის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პოლიკლინიკის ექიმ-რენტგენოლოგს.
26. **ფიცხელაურს** ქეთევან ივანეს ასულს — ყაზბეგის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს
27. **ყიფიანს** გიორგი დავითის-ძეს — ლანჩხუთის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს
28. **ჩიხლაძეს** ვალერიან დიონისეს-ძეს — მედიცინის სამსახურის პოლკოვნიკს
29. **ჩუბინიშვილს** ელისაბედ გიორგის ასულს — საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს
30. **ჭალაგანიძეს** შალვა ნესტორის-ძეს — კურორტ წყალტუბოს დირექტორს
31. **ჭელიძეს** გერონტი ჯაბას-ძეს — მახარაძის რაიონის ბახვის საექიმო უბნის ექიმს
32. **ხარაზაშვილს** შოთა კორნელის-ძეს — ახმეტის რაიონის მთავარ ექიმს
33. **ხერხეულიძეს** ნატალია გალოს ასულს — მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგეს
34. **ხუციშვილს** ვახტანგ ფილიმონის-ძეს — ბორჯომის ტერიტორიული საკურორტო სამმართველოს უფროსს
35. **ჯაფარიძეს** ქსენია იოსების ასულს — მესტიის რაიონული საავადმყოფოს პედიატრს
36. **ჯანდიერს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ქალაქის სამალარიო დისპანსერის ყოფილ ექიმ-ორდინატორს (ამჟამად პენსიონერს)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1959 წლის 28 იანვარი.

აჭარის ჟურნალისტთა საოლქო კონფერენცია

ბათუმი, 31 იანვარი. (საქფესი). აქ გაიმართა აჭარის ჟურნალისტთა პირველი საოლქო კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების ორგბიუროს სანგარიშო მოხსენება და განიხ

სკკპ XXI ყრილოგის ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

პირველ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲞᲘᲐᲢᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი ა. ხობუა, პარტბიუროს მდივანი ბ. მახათაძე). ამ დღეებში აქ სახიბარულო ცნობა მიიღეს. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ შეაჯამეს დეკემბრის მუშაობის შედეგები და დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი ცნეს შეჯიბრებაში გამარჯვებულად, მიაკუთვნეს პირველი ადგილი, გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია — 56.000 მანეთი.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გახსნისა და მაღალი ჯილდოს აღსანიშნავად მაღაროს კოლექტივი ამღლიერებს მუშაობას. ყრილობის მახალებმ გაცნობით აღფრთოვანებულმა მაღაროელებმა 30 იანვრისათვის შეასრულეს თვიური დავალება და გეგმის გადამეტებით 1.500 ტონაზე მეტი მარგანეცი მისცეს სამშობლოს.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ წარჩინებული მაღაროელები კ. ღავთაძე, ხ. ლომიძე, ძმები ტრიფონ, აკაკი და პეტრე ჭიღლაძეები, ი. ქართველიშვილი, ა. ჭიღლაძე და სხვები. ისინი ყოველდღიურ გეგმებს 150-180 პროცენტით ასრულებენ, იბრძვიან შვიდწლედის პირველი წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის.

ᲜᲝᲠᲘᲝᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲝᲒᲐ

ᲐᲑᲐᲨᲐ. („კომუნისტის“ კორ.). ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ახალი წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XXI ყრილობას. განსაკუთრებით სასახელოდ იშრომეს მეცხოველეებმა. გადაჭარბებით არის შესრულებული პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმები. დიდი ყურადღება მიაქციეს ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვას. მოეწყო საკვების მიმტანი და ნაკელის გასატანი საჰაერო კიდული გზები, ჩალის საკუჭი მანქანა, რძის პროდუქტების გადასამუშავებელი ოთახი და სხვ. ყველაფერი ეს დიდად ამსუბუქებს მომვლელთა შრომას და ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები ყრილობის გახსნის დღისათვის პირნათლად შეასრულა მწველავმა მ. გვარამიამ. იგი 14 ძროხას უვლის და თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო 1.300 კილოგრამი რძე. ასევე წარმატებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება მწველავმა ა. ჩოჩიამ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაცნობასთან დაკავშირებით ნორიოელმა კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლის განმავლობაში თვითეულ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მიიღონ 1.100 კილოგრამი რძე.

ᲐᲛ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲒᲨᲘ

პარტიის XXI ყრილობის მუშაობის ისტორიულმა დღეებმა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივს კიდევ ერთი დიდი სახსრული მოუტანა. აქ ესტონეთიდან მიიღეს დეკაშა, რომ გასული წლის შედეგების მიხედვით თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა რიგის აბრეშუმის კომბინატის „რიგას აუდუმსის“, კაუნასის აბრეშუმის ფაბრიკის „კაუნო აუდინის“ და ტალინის აბრეშუმის ფაბრიკის „პუნანე კიოტის“ კოლექტივებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დასახა, თბილისელ ფეიქრებს ახალი სახალხო საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის აღფრთოვანებს. მქსოველმა ნ. ბარათაშვილმა იკისრა ყოველთვიური ნორმები 140 პროცენტით შეასრულოს და მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილი დაამზადოს. ასევე ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მქსელავებმა ლ. ციცქიშვილმა, ო. ზაქაიძემ, ე. მინიაკინამ, მქოსველებმა მ. გვრიტიშვილმა, ო. ლალაძემ, შ. ნადირნამ, ოსტატის თანაშემწეებმა დ. ალიბეგაშვილმა, გ. გორდაძემ, ვ. გეგეშიძემ.

ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲡᲙᲙᲞ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 29 იანვარი. (საკდისი). როგორც ბულგარეთის დიპლომთა საადგილო ოუწყება, ბულგარელი ხალხი დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მუშაობას.

ამ დღეებში ყველა ბულგარელი მშრომელის თვალი მიპყრობილია მოსკოვისაკენ, XXI ყრილობის სხდომებისაკენ. დიდებული პერსპექტივები, რომლებიც საბჭოთა ადამიანების წინაშე ისახება, აღაფრთოვანებენ ბულგარელ ხალხს იმისათვის საბრძოლველად, რომ მოკლე ვადებში შეასრულოს მისამი ხუთწლეული.

ყრილობის აღსანიშნავად ბეგრი საწარმოს კოლექტივებმა, ინიციატივებმა ბრიგადებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს შრომაში. მუშათა ძველ ცენტრ გაბროვოში ის დღეები, როცა საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას თავისი ისტორიული ყრილობა აქვს, დამკვიდრებული შრომის დღეებად არის გამოცხადებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად სოფიის გ. დიმიტროვის სახელობის ქარხნის საორთქლმავლო საამქროს მუშებმა ორი დღით შეამცირეს თვითეული ორთქლმავლის შეკეთების დრო. სოფიის 9 სეპტემბრის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა დღეიდან 27 იანვრიდან 7 თებერვლამდე წარმოების მაღალი დონის დღეადგ გამოაცხადა.

პლოვდივის საორთქლმავლო დეპოს კომკავშირელებმა გადაწყვიტეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის სახელი დაარქვან ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელიც ორი თვის წინათ შეიქნა. ყრილობისწინა დღეებში ამ ბრიგადამ შვიდი ორთქლმავლის რემონტი დაამთავრა ნაკლებად ექვსისა.

ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ბულგარეთის ბეგრი სხვა ქარხნისა და საწარმოს მუშებიც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მუშაობა ფართოდ არის ასახული გაზეთების ფურცლებზე.

გაზეთები პირველ გვერდზე ათავსებენ დაწერილებითს ინფორმაციას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მუშაობის გუშინდელი დღის შესახებ. „რაბოტნიჩესკო დელო“ ამთავრებს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების სრული ტექსტის გამოქვეყნებას.

გაზეთი „ტრუდი“ მოწონაგე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ნათელ პერსპექტივებს უსახავს არა მარტო საბჭოთა ხალხებს, არამედ მთელ პროგრესულ კაცობრობასაც. გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის განვითარების გრანდიოზული ტემპი, რომელიც გადამწყვეტი იქნება კაპიტალიზმზე სოციალიზმის ისტორიული გამარჯვებისათვის. ამავე დროს მოხსენება მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს ახალ ძლიერ იარაღს აძლევს კომუნიზმისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ბულგარელი ხალხი, რომელიც დიდი აღფრთოვანებით ეგებება ამ ისტორიულ დოკუმენტს, წერს დასასრულ გაზეთი, ბედნიერია, რომ იმ ხალხებთან ერთად არის, რომლებიც დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით ბედნიერ მომავალს აშენებენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ იმისათვის ბრძოლაში, რომ მშვიდობისა და სოციალიზმის ძალებმა გაიმარჯვონ კაპიტალიზმისა და ომის ძალებზე.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ

ᲰᲐᲜᲝᲘ, 29 იანვარი. (საკდისი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ იმ ამბავს, რომ მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა. როგორ ეს სასიხარულო ამბავი მიიღო მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის აქტივის კრებამ, კრების 400-ზე მეტი მონაწილე ფეხზე დგა, მქუხარე ოვაცია გამართა და რამდენიმე წუთს გაიძახოდა ლოზუნგებს. „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელთა XXI ყრილობას!“, „გაუმარჯოს ეკონომელი და საბჭოთა ხალხების მარადიულ მეგობრობას!“. გაზეთიანი მოწონაგე სტატიებს უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას. გაზეთი „ლუო დონგი“ აქცენტს ვიეტნამის შრომის საყოველთაო კონფედერაციის თავმჯდომარის ჰოანგ კოკ ვიეტის სტატიას, რომელშიც იგი ვიეტნამის მუშათა კლასისა და პროფკავშირების სახელით ყრილობას და საბჭოთა კავშირის მთელ მუშათა კლასს წარმატებებს უსურვებს კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების საქმეში.

ᲓᲐᲚᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 29 იანვარი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის კომისიის ღია სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საერთაშორისო მდგომარეობა. სხდომაზე მიიწვიეს საგარეო საქმეთა მდივანი დალესი და თავდაცვის მინისტრი მაკელროი.

თავის განცხადებაში კომისიის წევრებისადმი, რომელიც დაურიგდათ კორესპონდენტებს, დალესმა მიზნად დასახა „დაესაბუთებინა“ ამერიკის შეერთებული შტატების უარი შეწყვეტონ „ცივი ომის“ პოლიტიკა.

უსაფუძვლოდ განაცხადა რა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა „ცივი ომისათვის“, სახელმწიფო მდივანმა ასევე უსაბუთოდ თქვა, რომ „ცივი ომის წყაროა“ თითქოს „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა“, რომელიც ვითომდა „მსოფლიო ბატონობას“ ესწრაფვის.

ყოველივე ეს დალესს იმისთვის დასჭირდა, რომ საეჭვოდ გაეხადა გულწრფელობა საბჭოთა წინადადებებისა „ცივი ომის“ შეწყვეტის შესახებ და საბოლოო ანგარიშით უარეყო ყოველგვარი წინადადება ამ მიმართულებით, თუ წინადადებანი სადავო საკითხების გადაჭრის შესახებ გამომდინარეობენ არა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან.

„მიზანი საბჭოების ყოველი კონკრეტული წინადადებისა „ცივი ომის“ შეწყვეტის შესახებ, — ამტკიცებს დალესი, — იყო შეესუსტებინა ჩვენი ნება ან უნარი წინააღმდეგობა გავუწიოთ საერთაშორისო კომუნიზმს, რომელიც ცდილობს განახორციელოს თავისი გეგმები მთელ მსოფლიოში“.

როგორც „მაგალითები“ დალესმა მოიყვანა სსრ კავშირის წინადადება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის გაფართოების შესახებ, საბჭოთა წინადადება დაესვლეთ ბერლინის თავისუფალ ქალაქად გამოცხადების შესახებ და წინადადება გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

დალესი დაეინებით ცდილობდა შთაეგონებინა ეს აზრი, რომ საეჭვოა მიღწეულ იქნას „ცივი ომის“ ლიკვიდაცია.

დალესმა თავისი განცხადება დაამთავრა სიტყვებით: „როგორც არაერთხელ უთქვამს პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, არ არსებობს ისეთი რამ, რასაც ჩვენ არ გავაკეთებთ ყოველ მომენტში, ყოველ ადგილას, თუ იგი დაგვისახავს სამართლიანი მშვიდობის უზრუნველყოფის გონივრულ პერსპექტივებს“. მაგრამ მთელი განცხადება სრულიად ეწინააღმდეგება ამ მტკიცებას.

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ?

რომ შეგვკითხონ, რა უფრო ძნელია — მსოფლიოს ჩემპიონად, თუ სსრ კავშირის ჩემპიონად გახდომაო, პასუხის გასაცემად სერიოზული დაფიქრება დაგვჭირდებოდა. სსრ კავშირის ჩემპიონობა უდიდესი, უფრო სწორად უძლიერესთა ტურნირია და მის შედეგებს ტყუილად როდი მოელიან შეუნელებელი ინტერესით მთელ მსოფლიოში. სსრ კავშირის ჩემპიონატში არც ერთი გროსმაისტერი არ არის მარცხისაგან დაზღვეული. მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონი მ. ბოტვინიკი მე-19 ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა! ვ. სმისლოვი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონატებში ჯერ ერთხელაც ვერ გამოვიდა პირველ ადგილზე (ორჯერ გაიყო პირველი და მეორე ადგილი დ. ბრონშტეინთან და ე. გელერთან).

ეს პატარა მაგალითები საკმაოდ დამახასიათებელია იმის გასაგებად, რომ ჩვენი ჩემპიონატი ტურნირთა ტურნირია!

გასაგებია, რომ თვითეული გროსმაისტერი ოცნებობს მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს. მაგრამ თვითეული გროსმაისტერი იმაზეც ოცნებობს, რომ სსრ კავშირის ჩემპიონი გახდეს. ეს ორი ტიტული ყველაზე საპატიოა, რომელიც კი ჭადრაკში მოიპოვება.

ცხრა გროსმაისტერიდან, რომლებიც ახლა თბილისში თამაშობენ, მხოლოდ სამს — ტ. პეტროსიანს, ბ. სპასკის, ვ. კორჩნოის — არა აქვს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. ამიტომ ისინი ამბობენ: სად არის სამართალი, ახლა ჩვენი რიგიაო. უნდა ვთქვა, პატივცემულო მკითხველო, რომ გროსმაისტერები და ოსტატები ყველანი ძალიან სიმპათიური, ზრდილი, თავაზიანი ადამიანები არიან, მაგრამ ჭადრაკი უფრო ყოველისა ბრძოლაა და ამიტომ ისინი ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ „კეთილშობილებაზე“, „რიგზე“. არა, თვითეული მათგანი მხოლოდ იმაზე ფიქრობს რომ ეს „რიგი“ დაარღვიოს და თვითონ გამოვიდეს პირველ ადგილზე. ეს ბუნებრივიც არის. განა შესაძლებელია „კეთილშობილება“ საჭადრაკო ტურნირში. განა შეიძლება მონაწილეთა „თავაზიანობაზე“ ლაპარაკი, თუ უკანასკნელ ადგილზე მიდის ჩემპიონობის უხიცესი მონაწილე რაშიდ ნეუმეტდინოვი.

თუ ვ. კორჩნოის, ბ. სპასკის, ტ. პეტროსიანს მიაჩნიათ, რომ ახლა მათი რიგია, ამას ბრძოლით უნდა მიაღწიონ! ვფიქრობთ, რომ ამ სამეულში „უხიცესი“ — ტ. პეტროსიანი ამჯერად შეძლებს თავისი გაიტანოს. იგი მსოფლიო პირველობის სერიოზული პრეტენდენტია და „არ შეშვენის“, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ერთი ოქროს მედალიც არა აქვს.

პეტროსიანს ხშირად უსაყვედურებდნენ, რომ იგი მეტისმეტად დინჯად, მშვიდობისმოყვარულად თამაშობს. ტურნირებში ტ. პეტროსიანი იშვიათად აგებს, ყოველთვის იკავებს მაღალ ადგილს, უფრო ხშირად მესამეს, და ამიტომ საზღვარგარეთ მას „ტიგრან მესამეს“ ეძახიან. მაგრამ ამჯერად ტ. პეტროსიანი, ვგონებ, „დაჯერეს“ — იგი გაბედულად, აგრესიულად თამაშობს. ტიგრანი, რომელიც თბილისში დაბადა და აქ გადადგა პირველი ნაბიჯები ჭადრაკში, გრძნობს, რომ თბილისში ბევრს „შესტკივა“ მისთვის გული. მას ისიც ამხნევებს, რომ აქედან ერევანი ძალიან ახლოა! თუ დანარჩენ გროსმაისტერებს სურთ გამარჯვონ, ტ. პეტროსიანი გრძნობს, რომ მან უნდა გაიმარჯვოს! ჯერჯერობით ტ. პეტროსიანი ყველაზე უკეთ თამაშობს და შემთხვევით როდია ჩემპიონატის ლიდერი. როგორც იტყვიან, „ყველაფერი სასაკეთოდ ხდება“ — ავადმყოფობამ ხელი ვერ შეუშალა ტ. პეტროსიანს, ვერ დაასუსტა იგი. პირიქით, ავადმყოფობის შემდეგ მასთან თამაში საშიში გახდა და მონაწილენი კითხულობენ, რა მოუვიდა, რას ეკმევენ თბილისში, „ახალ ტ. პეტროსიანს“ ვხედავთო! ვგონებ, თბილისურმა ცხარე საჭმელმა, რომელსაც მიჩვეულია ტიგრანი, უშველა გაემწვავებინა ბრძოლა დაფაზე. ჯერ კიდევ ადრეა იმის თქმა, რომ ტ. პეტროსიანს უკვე უზრუნველყოფილი აქვს პირველობა ჩემპიონატში, მაგრამ მისი აქციები ახლა ძალიან მაღლა დგას, და რომელ მონაწილესაც უნდა შეეკითხოთ (გარდა მ. ტალისა, მ. ტაიმანოვისა და ბ. სპასკისა, რომლებსაც თავისი იმედი აქვთ), იგი ტ. პეტროსიანს დაასახელებს, როგორც ყველაზე მოსალოდნელ გამარჯვებულს.

მ. ტალის საქმე როგორლაა? თუ მან შეძლო ტ. პეტროსიანის დამარცხება გადამწყვეტ შეტაკებაში, მაშინ იგი მართლაც „გმირია“. ხოლო თუ ვერა, მაშინ მ. ტალსაც გაუჭირდება შეტოქეობა გაუწიოს ტ. პეტროსიანს, რომელსაც ერთი ქულით ჩამორჩება (ა. ლუტიკოვთან ტ. პეტროსიანის პარტია ჩვენ ტ. პეტროსიანისათვის მოგებულად მიგვაჩნია).

მაინც მ. ტალი უნდა მივიჩნიოთ ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგად ტ. პეტროსიანისათვის. მ. ტალს რიგის „დავალება“ აქვს — მესამედ დაბრუნდეს ჩემპიონად, თვითონ მ. ტალს კი როდი სურს დაარღვიოს თავისი ის „ჩვეულება“, რომ ყოველ ტურნირში პირველი იყოს. ასეთი „ჩვეულების“ გადაგდება ადამიანს ძალიან უჭირს. ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი მარკ ტაიმანოვიც წინააღმდეგი როდია, რომ თავისი დაბადების 33 წლისთავზე — 7 თებერვალს გვარიანი საჩუქარი გაიკეთოს — ჩემპიონის ოქროს მედალი მიიღოს!

ჩემპიონატის პირველ ლიდერს ბორის სპასკის უკანასკნელ სამ ტურში ხელი მოეცარა და ცოტა უკან დაიწია. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეძლებს იგი წელში გაიმართოს. ნერვები, ნერვები გადაწყვეტენ საქმეს!

პ. კერესი ზეკეთილ დუმს, თითქოს იგი არც იყოს აქ. მაგრამ პ. კერესი პ. კერესია — და თუ მან შეძლო ფინეთის მძლავრად ჩატარება, რაც სავსებით შესაძლებელია, ბოლოს და ბოლოს მას დაუკრავენ ტაშს. ვფიქრობ, რომ თბილისელები ამას სიამოვნებით გაიკეთებენ, იმიტომ რომ პ. კერესი აქ ძალიან პოპულარულია. ამ სიმპათიურმა, ოლიმპიური სიდინჯის გროსმაისტერმა, მუდამ მოხდენილი მანერების ადამიანმა, მრავალი წლის წინათ მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონატში, და ამიტომ მას პ. კერესელიძეს ეძახიან.

ჭადრაკის ჩემპიონატი მრავალი ეპიზოდისაგან შედგება. დიდი მნიშვნელობა აქვს სტარტს, ტურნირის შუა ნაწილს. მაგრამ ყველაზე პასუხსაგები ეტაპია ფინიში. როგორც ყოველ სპექტაკლში, დრამაში, კინოფილმში, გადამწყვეტია უკანასკნელი მოქმედება. ასეთია საჭადრაკო ტურნირშიც ფინიში. ფინიში ეს-ეს არის იწყება. საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელ მოქმედებაში ზოგისთვის „ბედნიერი დასასრული“ არის ხოლმე, სხვებისთვის კი დრამატული ფინალი. საშინელი დრამები ხდება ხოლმე სულ უკანასკნელ მომენტში, ასე ვთქვათ, ფარდის დაშვებისას. მაგალითად, 1949 წელს დებიუტანტმა ე. გელერმა შესანიშნავად ჩაატარა ტურნირი და მოსკოვის საჭადრაკო გმირი გახდა, ხალხის სიმპათიები მოიპოვა. სულ უკანასკნელ ტურში კი ო. ხოლმოვმა „გაუფუჭა“ საქმე, და პირველ ადგილზე ბედნიერი დ. ბრონშტეინი და ვ. სმისლოვი გამოვიდნენ. კიდევ კარგად გვახსოვს დრამატული ფინალი რიგაში. ტ. პეტროსიანმა უკვე მრავალი მისალოცი დეპეშა მიიღო და ვგონებ, თავისი გამარჯვების სალდეგრძელოც კი გადაჰკრა. და რა მოხდა? უკანასკნელი პარტიის დამთავრებისას ბ. სპასკი ისე დაუნებით „თამაშობდა“ მოგებაზე მ. ტალთან, რომ წაგებაც კი მოახერხა და ამით საშინელი დარტყმა მიაყენა არა იმდენად თავის თავს, რამდენადაც ტ. პეტროსიანს!

ფინიში ყოველ ჩემპიონატში განსაკუთრებით წარტაცი და მწვავეა. ფინიშზე არავის აღარ სურს იფიქროს „ხიშტით ბრძოლაში“ მიმდინარეობს.

ფინიშზე ყოველ მონაწილეს თავისი სადავიდარაბო და ხაზრუნავი აქვს. ზოგს სურს მოწინავე ადგილი შეინარჩუნოს, სხვები კი უნდა ჩქარობდნენ, რომ თავი დაალწიონ არასასურველ უკანასკნელ ადგილს.

ფინიშზე გულშემატკივარსაც ბეგრი სადავიდარაბო აქვს. ფინიშის დღეებში ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, და გულშემატკივარი მოვალეა მთელი ძალლონით დაეხმაროს თავის „კერას“.

მაშ ვუსურვებ თბილისელ გულშემატკივრებს ბედნიერ ფინიშს! დე ჩემპიონატი ისე დამთავრდეს, როგორც თვითეულს სურს. იმ „ნეიტრალურ გულშემატკივრებს“ (არიან კი ასეთები?), რომლებიც რუსთაველის თეატრში ვითომ მხოლოდ წმინდა შემოქმედებითი პროცესის საკვლევად დადიან, ვუსურვებ კიდევ ბეგრი საინტერესო, შინაარსიანი პარტია ნახონ. ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა მონაწილეობა იმის გარანტიაა, რომ კიდევ ბეგრი საკადრაკო შედეგი შეიქმნება.

ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ ᲢᲣᲠᲘ

როგორც ყოველთვის, გუშინ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში საფეხ იყო ჭადრაკის მოყვარულებით. ... გაიმართა ჩვენი ქვეყნის XXVI საკავშირო ... ჩემპიონატის ფინალის მეცამეტე ტური.

დ. ბრონშტეინის ავადმყოფობის გამ... ბისი პარტია ბ. ტალთან აქ შუდგა ... მსაჯთა კოლეგიამ მ. ტალისა და ტ. პეტროსიანის შეხვედრა მოაწყო.

ტ. პეტროსიანმა შავებით ჩქარი გ... თანაბარა მდგომარეობა. ეტლებისა ... ლაზიერის გაცვლის შემდეგ თამაში ... დავიდა მსუბუქ ფიგურათა ენდშპილ... თანასწორ პოზიციაში მოწინააღმდეგ... 34-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

მე-13 ტური გროსმაისტერ მ. ტაიმანოვისათვის, რომელიც ამ ტურნირ... დაუმარცხებლად იბრძოდა, საბედნ... რო აღმოჩნდა. სიცილიურ დაცვ... რ. ხოლმოვმა რთული მანევრირები ... ლა შესთავაზა მოწინააღმდეგს. 21-... სვლაზე რ. ხოლმოვმა შესწორა პაიკი ... ნელი ადგილ ინიციატივა. მ. ტაიმანოვ... ფიგურები შებოჭილი აღმოჩნდა. რ. ხ... მოვმა ძლიერი სვლებით შექმნა მთელ... რიგი მუქარები.

აქვე მოგვყავს ამ პარტიის ფინალი.

მ. ᲢᲐᲘᲛᲐᲜᲝᲕᲘ



რ. ᲮᲝᲚᲛᲝᲕᲘ

35. ლh4 (მუქარაა მe7+) მფf8 36. ... ლ:gf6 37. ლe7+ მფg8 38. მf6+! ... 39. ე:e6 ლg1+ 40. მფa2 და აქ მ. ტ... მანოვმა გადააცილა დროს და მას, ... დაც უიმედო მდგომარეობაში, წაგ... მიესაჯა.

საინტერესო გამოდგა ახალგაზრდ... ტატების ბ. გურგენიძისა და ა. ლ... კოვის შეხვედრა. ქართველმა მოპაო... ორიგინალურად გაითამაშა სიდ... ნაწილი და მეფის ფრთის პაიკებმ... სვლითა გაამწვავა პოზიცია. შემ... სვლებით ბ. გურგენიძემ მოწინააღ... გის კუს შეუბოჭა ყველა გზა. ფიგ... თა გაცვლის შემდეგ ბ. გურგ... უპირატესობა აშკარა გახდა და ა. ... ტიკოვმა 46-ე სვლაზე თავი დაპარ... ბულად ცნო. აღსანიშნავია, რომ ეს ... ტატ ა. ლუტიკოვის პირველი დ... ცხებაა.

ამ დღეს კიდევ ერთი წარმატება მ... პოვა ლ. პოლუგაევსკიმ. იგი მაღალ ... ტატონით იბრძოდა ა. ნიკიტინის ... ალმდეგ და გათამაშების ცხრილში ... ქულა ჩაიწერა.

ვ. კორჩნოი-ი. იუხტმანმა მ... ბრძოლის შემდეგ მიიღეს მარტივი ... ზაცია და 48-ე სვლაზე ყაიმზე ... თანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგ... ს. ფურმან-ა. კერესის, ე. გუ... რ. ნეიშტადინოვის პარტიები.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

13 ტურის შემდეგ წინ არიან: ტ. პ... როსიანი (8 ქულა და 1 გადადებ... პარტია), მ. ტალი (8 ქულა), მ. ტაიმ... ვი (8 ქულა) და რ. ხოლმოვი (8 ქ... დღეს გაიმართება მე-14 ტური.

„წითელქუდა“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲒᲨᲕᲝ ᲝᲞᲔᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Შ. ᲤᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲨᲘᲙᲠᲣᲚᲘ, გაფართოებული თვალებით ისმენს მოზარდი ზღაპარს კეთილ გოგონაზე, რომელსაც წითელქუდა უწოდეს, და საშინელ მგელზე. რა სიხარულით გაცისკროვნდება ბავშვის სახე, როცა გაიგებს, რომ ვერაგი მგელი დასჯილია, ხოლო შვილიშვილი და ბებია ასეთი „საშინელი“ თავგადასავლის შემდეგ კვლავ გადაეხვევნენ ერთმანეთს.

„წითელქუდა“ ყოველი ნორჩის პირველი ზღაპარია, რომელიც ბავშვებს ესოდენ სადად და მიმზიდველად მოუთხრობს სკკეთის გამარჯვებაზე, უნერგავს მათ სიყვარულს სამართლიანობისა და ყოველივე სათელისადმი.

ადრეული ყრმობის წლებიდანვე ესოდენ ნაცნობი და ახლობელი სიუჟეტი ამას წინათ ოპერის სცენაზე წარმოგვდგა. კომპოზიტორ **ვანო გოკიელის** ოპერა „წითელქუდამ“ პატარა მსმენელის „სერიოზული“ ყურადღება მიიპყრო. პირველი წარმოდგენების მიხედვით ძნელია მსჯელობა ნაწარმოების მედგომ სცენიურ ბედზე, მაგრამ „წითელქუდას“ შესახებ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თავისი მსმენელი მას მუდამ ეყოლება.

ოპერის მუსიკა ზღაპარივით სადაა, რაც მისი მთავარი ღირსებაა. ვოკალური პარტიების მელოდიურობა, საოპერო ფორმების უბრალოება, ორკესტრობის სიმსუბუქე ხელს უწყობს ნორჩი მსმენელის მიერ ნაწარმოების სწრაფად აღქმას.

კომპოზიტორმა **ვანო გოკიელმა** და ლიბრეტოს ავტორმა პოეტმა **გრიგოლ აბაშიძემ** ოპერას საფუძვლად დაუდეს პეროს უაღრესად პოპულარული ზღაპარი. ამასთან მასში ახალი პერსონაჟები შეიყვანეს და სიუჟეტის მთელი რიგი ეპიზოდებით გამდიდრების საშუალებით ძას ეროვნული ელფერი მიანიჭეს.

ოპერის დასაწყისიდანვე „წითელქუდა“ თავისი მეგობრების — ყვავილებისა და ფრინველთა გარემოცვაშია. ეს მისი სამყაროა—უზრუნველი და კეთილი გოგონას სამყარო. ამიტომ პირველივე მოქმედებიდან კომპოზიტორი მომართავს ანსამბლის ფორმას, რომელშიც „წითელქუდას“ მეგობრები წარმოგვიდგებიან, რითაც მთავარი გმირის ირგვლივ ფერადოვან ატმოსფეროს ქმნის. განსაკუთრებით კარგია მამლისა და ქათმების ჩხუბის დიდი ანსამბლური სცენა პირველ მოქმედებაში.

„წითელქუდაში“ ცოტაა მთავარი პერსონაჟი, მაგრამ ეპიზოდური გმირებიც კოლორიტული და ხატოვანი მუსიკალური ენით არიან დახასიათებულნი. გმირთა მუსიკალური დახასიათების ძირითადი ფორმაა სასიმღერო და საცეკვაო ფორმა, რომელიც ინტონაციურად ახლოს არიან ხალხურ მელოდიებსა და რიტმთან. ასეთია „ქათმების ლირიკული ცეკვა“, „გეგუული სიმღერის მელოდიაზე „თებრონე მიდის წყალზედა“, კომიკური „ინდოურების ცეკვა განდგან“, მამლების მეორეული ცეკვა „ხორუში“.

ოპერის ძირითადი მელოდია, რომელიც მთელი ნაწარმოების თვისებური ლეიტმოტივია, „წითელქუდას უბრალო სიმღერაა. ეს მელოდია წარმოგვიდგება როგორც უკვე სადღაც მოსმენილი და ნაცნობი. ამ ორნაწილიანი პატარა სიმღერის მოქნილი პირველი ნახევარი იცვლება უფრო ლირიკული ფართო ნაწილით. სიმღერაში ასახულია გოგონას მთელი ბუნება ხან უდარდელი, მხიარული, ხალისიანი, ხანაც ბავშვურად სერიოზული, რაღაცაზე დაფიქრებული. მისი სიმღერა თითქოს გასდევს მთელ ნაწარმოებს და, ბოლოს, ფინალში ძალავ გაისმის, რითაც ასრულებს მთელ ოპერას.

ორიგინალურად არის მოფიქრებული და გადაწყვეტილი მგლისა და მელას მუსიკალური დახასიათება, სანტერესო სორკესტრო გამმგონებლობით და საკრავების ტემბრალური შეფერადებით. მელას და მგლის დეტი, რომელიც მწვავე სატირული ცეკვით თავდება, კომპოზიტორისა და დამდგმელის კარგი მიგნებაა.

სამწუხაროდ, ოპერა „წითელქუდას“ ერთი სერიოზული ნაკლიც აქვს. იგი აშკარად გაჭიანურებულია, რაც პატარა მსმენელებ